სპორტიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 23 ნოემბერი 1996 №124 (348) ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოგიჩა გადარჩა

თბილისის „დინამოსა“ და ეროვნული ნაკრების მარჯვენა ნახევარმცველს კახა გოგიჩაიშვილს თამაშისას ხშირად მოხვედრია. ეს არც არის გასაკვირი, მისი თამაშის სტილს თუ გავითვალისწინებთ — გოგიჩა შემქმნელია, მუდამ შემტვევის წინა ხაზზეა და, ვინ მოთვლის, თავაწყვეტით მჭოლი რამდენჯერ წაუქცევიათ. ასეთია შეტევის ბედი და ამ საქმეში შეგუების გარდა გამოსავალი არც არსებობს. 20 ნოემბრის მატჩიც „დინამო“ — „ბათუმი“ გულშემატკივრებს დიდხანს ემახსოვრებათ არა მხოლოდ იმიტომ, რომ მართლაც კარგი სანახავი გამოდგა, იმიტომაც რომ... თუმცა, თანმიმდევრობით გავიხსენოთ: შეხვედრის წესრულებას აღარაფერი აკლდა, დინამოელები 3:3-ს არ სჯერდებოდნენ და თავგამოდებით უტევდნენ. ცქიტიშვილმა მორიგი შეტევა წამოიწყო და მის სიახლოვეს მყოფი გოგიჩაიშვილი მონახა. კახამ ბურთი მიიღო და დაიძრა. მოიერიშე მეტოქეს ბათუმელთაგან თეიმურაზ ტულუში დაუხვდა, ორთაბრძოლისას გოგიჩა უხერხულად დაეცა, წაქცევისას მუცლის არით თავისსავე იდაყვს წამოეგო. აშკარა იყო, ძალიან იტკინა რაღაც, მაგრამ გორაობა არ დაუწყია, დრო ისედაც იწურებოდა. ყველას გვეგონა, ხელი იღრძოო და ყურადღება დიდად არც გაგვამახვილებია ამაზე. მერე ის გვენიშნა, რომ საფინალო სასტვენის შემდეგ კახა საკმაოდ მოდუნებულ-დამძიმებული ჩანდა და ყველაზე ბოლოს გაემართა გასახდელისკენ. იქიდან გამოსულმა, ფერდაკარგულმა ვერც ავტომანქანის საჭესთან დაჯდომა შეძლო. ეიფიქრეთ, ალბათ, ხელმა შეაწუხა, მალე გაუვლისო და ყველანი დავიშალეთ. მას შემდეგ ორი დღე გავიდა, უცხო და უსიამოვნო არაფერი შეგვიტყვია, პირიქით, ასე ვიცოდით, გოგიჩა ბაზაზე ემზადება, გუნდთან ერთად ინგლისს გასამგზავრებლადო. თურმე, რა ინგლისი, რისი ვარჯიში, გოგიჩაიშვილი სიკვდილს ძლივს გადაურჩაო, შეეტყვეთ მოულოდნელად. ორი დღის წინ არაფერი სჭირდა საამისო, ის ტრავმაც არ ჩანდა ისეთი — გავიფიქრეთ გაკვირვებულებმა. ჩანდა კი არა, სწორედ ის ავადსახსენებელი მომენტი ყოფილა ყოვლის მიზეზი ხელი რომ მოიყოლა, მუცლის არეში რაღაც დაიზიანა და სისხლდენა დაეწყო, მდგომარეობა ისე გაურთულდა, „არამიანცის“ რეანიმაციის განყოფილებაში მოათავსესო, გავიგეთ. ამბის შესატყობად „დინამოს“ ოფისში გავვარდით, ბედად, ირაკლი ზოიძე შეგვხვდა, პირველმა სწორედ მან დაგვამშვიდა, ნუ გეშინიათ, კახა უკვე კარგად არის, ოპერაციას გადაურჩა და თანდათან მოკეთდებაო, საუბარი ჩავამთავრეთ თუ არა, „დინამოს“ პრეზიდენტი მერაბ ჟორჟანია მოვიდა...

— დაბეჯითებით ის შემიძლია გითხრათ, რომ გოგიჩაიშვილი გადარჩა. ეს კი ყველაზე მთავარია...

— ინგლისში მისი გამგზავრება, ალბათ, გამორიცხა...

— სამწუხაროდ, ასეა და ეს ძალზე დასანანია. კახა, ალბათ, სულ მცირე, სამი თვე ვერ ითამაშებს.

მოკლედ, ძალიან უსიამოვნო ამბავია — კახა ნამდვილად არ იყო ურიგო ფორმაში, გუნდს ინგლისში მიჰყვებოდა, მის უცხოურ ტრანსფერზეც იყო ლაპარაკი, ახლა კი... ტკივილები, რეანიმაცია, იძულებითი დასვენება...

...მაშინვე „არამიანცს“ მივაშურეთ საბოლოოდ რომ გაგვერკვია კახას მდგომარეობა. საავადმყოფოს მიახლოებულებს ჯერ იაშვილმა და დემეტრაძემ ჩაგვიქროლეს ავტომანქანით, მერე ხომერიკმა. ბოლოს გელა ჭანტურია შეგვხვდა და გოგიჩას ადგილსამყოფელი მიგვასწავლა: უროლოგიის განყოფილება, მეცხრე სართული. მეცხრე სართულზე სრული სიმშვიდე და ცარიელი დერეფნები დაგვხვდა. მარჯვნივ. წასულებმა ოციოდე ნაბიჯი გავიარეთ და ზურგსუკან გაკვირვებული ხმა შემოგვესმა — სად მიდიხართ?.. მივხვდით, რაღაც შეგვეშალა. თურმე საოპერაციოში გვიდურთავს თავი. იქით არ შეიძლება გვიხსნის ექიმი ეკა წერეთელი. დიდად ვებოდიშებით და ვუხსნით, რომ კახა გოგიჩაიშვილის ნახვა გვსურს, რა თქმა უნდა, თუ ეს შეიძლება. ექიმი შეყოყმანდა, მუდარაჩამდგარ თვალებში რომ ჩაგვხედა, ხალათები გვიბოძა და გოგიჩასთან შეგვიძღვა. კახა ფერმკრთალი კია, მაგრამ, ეტყობა, თავს უკეთ გრძნობს: გაგვიღიმა, ეს კი კარგის ნიშანია...

— გახსოვთ ბოლო წუთი, რომ წავიქეცი... რამდენიმე წამში მსაჯმა თამაშიც დამთავრა. მუცლის არეში ტკივილი წამსვე ვიგრძენი, ხელიც მაწუხებდა, მაგრამ თავს ძალა დავატანე და ბაზას მივაშურე დიღომში, ტკივილი კი თანდათან გაუსაძლისი გახდა და სადაც ამოვყავი თავი, ხედავთ. ტრავმისგან რომელი ფეხბურთელია დაზღვეული, მაგრამ რაღა ახლა დამემართა. ცუდი დრო შევარჩიე „დასასვენებლად“...

— ახლა თავს როგორ გრძნობ?

— უკეთ, არა მიშავს.

— ძალიან უხერხულად წაიქეცი, დაცემისას თითქოს ხელი მოგყვა მუცლის ქვეშ...

— მომუშტულ ხელზე დავეცი, ხელი გაშლილი რომ მქონოდა, ალბათ, არაფერი დამიშავდებოდა.

პაციენტი, რა თქმა უნდა, ძალიან არ გადავლალეთ, ეს ვიკმარეთ. კახას მალე გამოჯანმრთელება ვუსურვეთ და ექიმებს მივაკითხეთ ზუსტი დიაგნოზის გასაგებად. აკადემიკოსი ლაურ მანაგაძე, ვისი გულმოდგინე მეთვალყურეობითაც მკურნალობენ ფეხბურთელს, იმ წუთისთვის გასული აღმოჩნდა, სხვება კი ეს გვითხრეს:

— კახას თირკმლის სუბკაფსულარული დაზიანება დაუდგინდა. თირკმელი გარედან კი მთელია, მაგრამ შიგნითაა დაზიანებული. პირველადმა დაკვირვებებმა დაგვანახა, რომ ჯერჯერობით ქირურგიული ჩარევა საჭირო არ არის. სისხლდენა შეჩერებულია. პაციენტის მდგომარეობა უმჯობესდება, ეს ყოველივე კი კარგის მაუწყებელია. თუ ასე გაგრძელდა, ფეხბურთელი დაახლოებით ორსამ თვეში უნდა შეუდგეს ვარჯიშს. საბოლოო პასუხი თუ გაინტერესებთ ორშაბათს მობრძანდით და ბატონი ლაური მოგახსენებთ...

იგივე დაუდასტურებია უროლოგიის განყოფილების სტუმარს, ცნობილ გერმანელ უროლოგს, პროფესორ უდო იონასს. როცა მას რენტგენის სურათები უნახავს, დაუსკვნია, „მოცდის ტაქტიკა“ სჯობსო. გოგიჩას ორშაბათამდე კიდევ დაკვირდებიან, ორშაბათს კი აკადემიკოს მანაგაძეს ჩვენც ვეახლებით და გულშემატკივრებს ვაუწყებთ როდისაა მოსალოდნელი კახა გოგიჩაიშვილის მინდორზე გასვლა. თავად კახას და მომავალ ექიმებს მალე გამოჯანმრთელების იმედი აქვთ. კახას მხოლოდ იმაზე სწყდებოდა გული, გუნდს ინგლისში რომ ვერ გაჰყვება. თამამადაც შეიძლება ითქვას, რომ ამ ტურნეს მერე არ იყო გამორიცხული საფეხბურთო ეგოგიჩას კარიერაში ახალი ეტაპი დაწყებულიყო, მაგრამ ეს, იმედია, მცირე ხნით გადაიდო. მთავარი კი ისაა, რომ კახა გამოჯანმრთელების გზაზეა...

ზამუქა კვანტალიანი

ახალგაზრდობა — იმედი ხვალის

ფინალის I ტური
22.XI. ვაკე 120 მაყურებელი

გუმარი 24:14 ქორები

(24:7). **მსაჯი** გოჩა აბაშიძე (42%42)

გუმარი: ბ.იურინი; სორდია, ჩიქვინიძე, კიზირია, ბუგიანიშვილი; მაჩიტიძე, მოდებაძე; მთიულიშვილი, ხუციშვილი, ცაბაძე, პარნიკანაშვილი, მქედლიშვილი; ობოლაძე, გობეჯიშვილი, დიდებულიძე. — 3ლ: ბუგიანიშვილი (7), სორდია (23), ცაბაძე (25); 3გ და ს (5): მაჩიტიძე

ქორები: ასათიანი; ძნელიძე, ჩხენკელი, ალანია, სიხარულიძე; წეველიძე, კვინიხიძე; რეხვიაშვილი (კვანტალიანი, 43), ირემაძე, მაჭუტაძე; კაცაძე, ჩადუნელი (ჯაფარაშვილი, 43); ა.კობახიძე, დგებუაძე, კახიანი. — 2ლ: ასათიანი (7), ჯაფარაშვილი (68); 2გ: წეველიძე

ვეტერანები პარიზს რომ წასულან, ხოლო „ყორნები“ — ქუთაისს, ვაკურ რაგბს ერთობ მოაკლდა მაყურებელი. არადა, თამაში შესანიშნავი იყო, რადგან „ქორებმა“ კარგად იბურთავეს.

საქართველოს რკინიგზის გუნდს ამჯერად ახალგაზრდა მწვრთნელები — დათო ჩავლეიშვილი და ნუკრი ხვედელიძე თავკაცობდნენ. მართალია, მათი აღსაზრდელები თავიდან მთლად ყორნაღად ვერ დაუხვდნენ ლიდერ „გუმარს“, მაგრამ მეორე ტაიმში აშლილ მეტოქეს გვარიანად აჯობეს და ცოტა მეტი გამოცდილება და იღბალი რომ ჰქონოდათ, თანაც ზომიერება დაეცვათ, იქნებ არც წაეგოთ და კიდევ უფრო გაემწვავებინათ შეჯიბრი.

ამ გაჭირვების ჟამსაც „გუმარში“ შესანიშავად ითამაშა ზურაბ მჭედლიშვილმა, ვინაც დერეფანში ბატონობდა. „ქორთაგან“, ძალუმად გამოირჩნენ ვეტერანი რეზო ჯაფარაშვილი, აგრეთვე ახალგაზრდები — კაცაძე, კობახიძე, კვინიხიძე, სიხარულიძე, ასათიანი, წეველიძე, ჩხენკელი, ალანია და ა.შ. ერთი სიტყვით, თითქმის მთელი გუნდი.

მეტოქეთა მორიგი შერკინება, 7 დეკემბერს რომ გაიმართება, კიდევ უფრო კარგ სეირს გვიქადის.

შილავერს გააქვს და გააქვს

არგენტინელმა „ველეჟ სარსფილდმა“ ბრაზილიურ „კრუზეიროს“ სამხრეთ ამერიკის სუპერთასის პირველ ფინალურ შეხვედრაში 1:0 მოუგო. გოლი 86-ე წუთზე „ველეჟის“ მეკარემ ხოსე ლუის შილავერმა პენალტით გაიტანა. იმავე კონტინენტის, კონმებოლის თასზე, ასევე პირველ ფინალურ შეხვედრაში არგენტინის „ლანუსმა“ კოლუმბიის „სანტაფეს“ 2:0 სძლია. გოლები გაიტანეს ოსკარ ალანამ (30 პ) და არიელ იბასაგამ (78). საპასუხო მატჩები 4 დეკემბერს გაიმართება.



ველეჟ სარსფილდი — კრუზეიროს: მეკარეს, ჩვეულებრივ, პენალტის მოგერიებას ულოცავენ ხოლმე თანაგუნდელები, არგენტინელთა მეკარე შილავერმა კი ამ მატჩშიც, უკვე მერამდენედ, მეტოქის კარში გატანილი გოლით გაიხარა თავისიანები

ყაჭეიშვილი ლიდერებშია

ორი ტურიც და დასრულდება კოლუმბიის ქალაქ მედელინში მიმდინარე 20 წლამდე მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატი. ვაუებში 11 ტურის შემდეგ 8 ქულით ლიდერობენ სუტოვსკი (ისრაელი), გიმეში (უნგრეთი) და ჩვენი გიგა ყაჭეიშვილი.

ქალთა შორის ჩემპიონობის ბედი თითქმის გადაწყვეტილია: 11-დან 10 ქულით პირველ ადგილზეა ჩინელი ჩუ ჩენი. მეორე ადგილზე მყოფ პეპტანს (რუმინეთი) იგი ორი ქულით უსწრებს. ჩვენი სოფიკო ტყეშელაშვილი ექვსი ქულით სატურნირო ცხრილის შუაგულშია.

საქართველოს ჩემპიონატი

პირველი წრე მიმოხილვა

სანამ აფხაზეთის დავიბრუნებდეთ

ეს წერილი, რომლის მიზანი საქართველოს VIII ჩემპიონატის I ნახევრის შეჯამებაა, წესით ასე უნდა იწყებოდეს: დასრულდა პირველი წრე და... სამწუხაროდ, ასე ვერ დავიწყებთ, რადგან სატურნირო ცხრილის თამაშთა სვეტში დარჩენილი ორი „14“ ჯერაც თვალს გვჭრის. როდის გაიმართება „ოდიში“ — „დინამოს“ XI ტურის შეხვედრა, დაზუსტებით არავის უწყის, ფაქტია მხოლოდ ის, რომ 17 ნოემბერს გასასრულებელი პირველი წრე არ მორჩენილა და ამ თვის ბოლომდე ვერც მორჩება. ამის მიზეზი კი ზუგდიდის წინასაარჩევნო აფხაზეთთან სიახლოვისა და „დინამოს“ ინგლისური ტურნეს ზედდებაა. არადა, ამ მატჩმა საკმაოდ მნიშვნელოვან კითხვებს უნდა მოჰფინოს ნათელი. პირველ რიგში, საინტერესოა, შეძლებს თუ არა ხურცილავა ახალი გუნდი „დინამოს“ კვლავინდებურად დამარცხებას და ამით ცხრილში მეხუთე საფეხურამდე აწევას, თავის მხრივ, ისიც საინტერესოა, გაზრდის თუ არა „დინამო“ უახლოეს მდევართან და მთავარ კონკურენტთან, „ბათუმთან“ ოთხქულიან სხვაობას.

ხურცილავა-ყიფიანის დუელი შესაძლოა შემდგარიყო იმ წესით, რომლითაც „დინამომ“ „კოლხეთი“ და „გურია“ ისტუმრა. ეს არ მოხდა. მიზეზი ნათელია, „ოდიში“ შინაურ კედლებში ფიქრობს იმ „დინამოს“ დამარცხებას, ორი წლის წინანდელ სკანდალურ მატჩში ორი ოქროს ქულა რომ დააკარგვინა და მას შემდეგ ზუგდიდში თვალით აღარავის უნახავს. ამის მიზეზი შარშანდელი საეჭვო დამთხვევა გახლდათ. რა დამთხვევაზეა ლაპარაკი? „ოდიშის“ მშობლიური სტადიონი მაინცდამაინც „დინამოსწინა“ თამაშისას „გადაირია“, რისთვისაც დისკვალიფიკაცია „გაიჩალიჩა“. აქ კი კვლავ ბედის ირონია... „ოდიშმა“ „დინამოს“ მაინცდამაინც მისი მთავარი კონკურენტის, „სამტრედიის“ სტადიონზე უმასპინძლა. და ეს მაშინ, როცა სამტრედიის სტადიონის ავარიულობაზე და იქ ადგილობრივი კლუბისთვის თამაშის აკრძალვაზე იყო ატეხილი საკმაოდ ხმაურიანი კამპანია. ცხადია, იმის შეხსენება არავის სჭირდება, რომ „დინამოს“ „ოდიში“ ბრდღვნად არ ეყო და 5:1 გაანადგურა...

„ოდიში“ — „დინამოს“ მატჩს რომ დაველოდოთ, რომელიც, შესაძლოა, აფხაზეთის დაბრუნებამდე ვერც გაიმართოს, სხვანი უყურადღებოდ დაგვრჩებიან. ამიტომ, ამათ შებამდე ჩემპიონატის დანარჩენი შედეგები მიმოვიხილოთ და ჩვენეული შეფასებაც დავურთოთ.

იგი წავა და სხვა მოვა

მიმდინარე ჩემპიონატის წინ საკმაოდ უშნო სურათის კონტურები ჩანდა. დრომ ტილოს ისეთი შტრიხები დაატყო, რომელთაც სურათი ცოტაოდენ შეალამაზეს. როგორი გამოვა საბოლოოდ ეს ქმნილება, მხოლოდ ჩემპიონატის ბოლოს გვეცოდინება. მანამდე კი იმ ჩანახატთა მაღალმხატვრულობასა თუ სიმდარეზე უნდა ვილაპარაკოთ, რაც თვალწინ გვაქვს.

პესიმიზმის მიზეზი ობიექტური გახლდათ. „სამტრედია“, რომელიც თანდათანობით იშლებოდა, მისთვის უმღაბლეს საფეხურამდე დაეშვა. მისი ხელახალი აღმასვლა კი არათუ ჩემპიონატის წინ, ახლაც ძნელი წარმოსადგენია. შარშანდელ ბოლო ტურში „მარგვეთთან“ მარცხმა ერთგვარად ხელოვნული ლიდერი, რუსთავის „გორდაც“ გაშიფრა. ვინც ამ გუნდისგან ახალ სეზონში თამაშის გაუმჯობესებას და გაძლიერებას მოელოდა, საპირისპირო სურათის მოწმე გახდა. „მარგვეთმა“ ვითომ კი შეინარჩუნა შარშანდელი სახე, მაგრამ აშკარაა, ენდელაძის წასვლით მასში მაინც მეტი ღვრემი გაირია. „კოლხეთმაც“ ისე წარუმატებლად წააბა ჩემპიონატის პირველი მატჩები სამარცხვინოდ ჩატარებულ ინტერტოტოს ჯგუფურ ტურნირს, რომ კარგა ხანს ცხრილის სიღრმეში იყურყუმალავა. მხოლოდ „დინამომ“ და „ბათუმმა“ დაიწყეს ჩემპიონატი უდანაკარგოდ. მაგრამ ბოლომდე ვერც მათ ივარგეს. თუმცა ამათ დაკარგულ ქულებზე შეიძლება ის ითქვას, რომ ისინი უფრო მეტოქეთა მონდომებამ დააკარგვინა, ვიდრე საკუთარმა სიძაბუნემ. და განა ოდენ „დინამო“ — „ბათუმის“ ბრძოლა შეიქცევდა ჩვენს ყურადღებას, „სამტრედისა“ და „გორდას“ შემცვლელად „მერანი“ და „ოდიში“ რომ არ გამოჩენილიყვნენ.

ერთი უხმოდ, წყნარად მოსული, მეორე კი ხმაურითა და ზათქით. ეჭვი არაა, „დინამოს“, „ბათუმის“, „კოლხეთისა“ და „მარგვეთის“ ლიდერობა აღარავის უკვირს. აი, „ოდიშის“ „დაგვიანება“ კი აქამდეც საკვირველი იყო, მართლაც ნანატრი კი — მეორე ძლიერი თბილისური კლუბის განსაცვიფრებელი დებიუტი.

„გურია“ და „დილა“ ალბათ მცდელობას არ დააკლებენ, მაგრამ საეჭვოა, ზემოხსენებული კომპანიის დავაში ჩაერიონ. ამას ვეღარც „ტორპედო“ შესძლებს, რომელსაც მაშველმა რგოლმა სულზე კი მიუსწრო, მაგრამ კარგი კალენდრის მიუხედავად მისი მიღწევა, ალბათ, მაინც გადარჩენა იქნება. გადარჩენა იმ დავიდარაბისგან, რაც ლიდერობისთვის ბრძოლაზე არანაკლებ მონდომებას მოითხოვს გასავარდნად განწირულთა მორევში. ასეთთა რიცხვში, გავარდნაში ეჭვმიტანილებთან ერთად კი წელს საკმაოდ დიდი იქნებოდა (3 გუნდი ვარდება), ბრძოლისათვის სიმძაფრე „სიონისა“ და „კახეთის“ დასჯას რომ არ მოეკლო.

გუშინდელზე უკეთ და ხვალინდელზე უარესად

ახალი ყველაფერი კარგია?

გეხსომებათ, აგვისტოში ჩემპიონატის ახალი დებულება რომ გაგაცანით და მის ავ-კარგზეც მოგახსენეთ. ერთ-ერთი სიახლე რამაც იმთავითვე მიიქცია ჩვენი ყურადღება, საჯარიმო ქულები გახლდათ. ამათი გამოყენება პირველ წრეშივე გახდა შესაძლებელი, ოღონდ სხვადასხვა დოზით. თავიდანვე ვწერდით მთავარი ამ დებულების დაცვაო და, ცოდვას ვერ ვიტყვით, „კახეთის“ შემთხვევაში ფედერაცია თავისაზე დადგა, მაგრამ „სიონთან“ დაკავშირებით კი საოცარი კაზუსი შეიმთხვია. დარღვევა ორივე შეხვედრაში დაახლოებით მსგავსი გახლდათ. განსხვავება ის იყო, რომ ბოლნისში მსაჯისთვის ხელი არ უხლიათ, მაგრამ მაინც ჩათვალეს, რომ მინდორზე გაჭრილი გუნდის მეპატრონის მუქარამ მსაჯობაზე გავლენა მოახდინა. ისე, საკითხავია, საჯარიმო ქულებს მსაჯის შეურაცხყოფის გარდა ხომ სტადიონის დისკვალიფიკაციასაც იწვევს, ასეთ რამეზე კი ლაპარაკი არცერთ შემთხვევაში არ ყოფილა. არადა, მინდორზე გაჭრისთვის (მსაჯთან საჩხუბრად მიდის კაცი თუ მოსაფერებლად) თუ არ მისცემენ სტადიონს დისკვალიფიკაციას, რისთვისაც უნდა დასაჯონ? გამოდის, ბოლნისელებს წაგება ტყუილად ჩაუთვალეს, მათ მიერ ჩაღენილი ცოდვისთვის დებულება სასჯელს არ ითვალისწინებს. აშკარაა, აქ მხოლოდ „კოლხეთის“ საქმე გააკეთეს, მთავარი ეს იყო, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ სააპელაციო კომისიის თავმჯდომარე ანტონ ონიანი „კოლხეთს“ თავიდან 1:0 (!!!) მოგებას უთვლიდა, აქაოდა, თავიდან ასე იგებდაო. რა თქმა უნდა, ეს კურიოზი არც ფედერაციის პრეზიდენტის ბრალია და არც სხვა ხელმძღვანელებისა. განა მათ უთხრეს ქვეშევრდომს, „სიონს“ წაგება ჩაუთვალეთო? თუმცა, ვაღიარებ, არც ჩემთვის უკითხავს ვინმეს, ამ კომისიის თავმჯდომარედ საკუთარი დებულების უცოდინარს რომ ნიშნავდნენ.

სასაცილოა თუ არა ის, რაც ზემოთ წაიკითხეთ, თავად განსაჯეთ. ფაქტი კი ესაა, „სიონი“ და „კახეთი“ პრაქტიკულად გასაგდებად გაიწირნენ, რამაც ცხრილის ფსკერზე ბრძოლას უშეღავათობა მოაკლო. თუმცა, ამაში გარკვეულწილად თავადაც არიან დამნაშავენი.

მსაჯობაზეც

მსაჯობაზე რა შეიძლება ითქვას? წელს მათ უკეთ იმსაჯეს... შესამამისად, ნაჩვევი მუჯლუგუნები და წიხლებიც ნაკლებად მიიღეს, თუმცა ზოგ შემთხვევაში ვერც ამას ასცდნენ. სამაგიეროდ, ვინც მათ აწყენინა, ყველა, თავის გუნდთან ერთად, მკაცრად დაესაჯა ერთის გარდა. იყო ასეთი შემთხვევაც, როცა ერთ-ერთ მსაჯს ფეხბურთელმა ცხვირი ამოუნაყა, მან კი მოთამაშეს ხელი დააფარა, არ ვუცემივარ, უბრალოდ, თავი თავზე მომადო და ისე მელაპარაკებოდაო. თქვენც მოგეხსენებათ, კაცი კაცს თავზე თავს რომ მიადებს, ან უნდა აგინოს, ანაც სიყვარული აუხსნას. ფეხბურთელსა და მსაჯს შორის კი რომელი უფროა მოსალოდნელი, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს.

ჩემპიონატში მწვავე ბრძოლათა რაოდენობის საკმაოდ გაზრდა, ცხადია, ისეთ მსაჯთა სიუხვეს ითხოვს, პროფესიონალიზმთან ერთად პრინციპულობაც რომ სისხლში აქთ გამჯდარი, თორემ მატჩის შემდეგ ოქმის წესივრად შევსება რომ არ იციან, ანდა თამაშის დროს შეცვლა გამოპარებათ, ასეთებს სხვაგან უნდა ჰქონდეთ საძებნელი სამუშაო.

ფიზიკა ცუდი საგანია

ამაღლდა თუ არა ჩემპიონატის დონე? ეს კითხვა ყოველი შემაჯამებელი ეტაპის გასრულებისას ისმის. მართალი გითხრათ, ამათზე საუბარი I წრის მერე უაზრობაა. საერთოდაც, ღირს თუ არა უახლოეს წლებში, ესაც საკითხავი. ჩემპიონატის დონეს უშეღავათო, სანახაობრივად კარგი თამაშების სიუხვე განსაზღვრავს და არა ის, 10:1-ების თამასა 8:0-ებსა თუ 6:0-ებზე რომ ჩამოვა.

ამ ჩემპიონატმა შეინარჩუნა წინას დადებითი თვისება. უშეღავათო თამაშები არცთუ მცირეა, მაგრამ მათი სანახაობრივი მხარეც კი ჯერ ვერაა სასურველ დონეზე. ცალკარობანა თამაშებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ყველა გოლი

დინამო 60
15 - დემეტრაძე
9 - იაშვილი
7 - ცქიტიშვილი
ხომერიკი
4 - ანჩაბაძე
ინალიშვილი
3 - ლ. კობიაშვილი
ჯამარული
2 - გოგიჩაიშვილი
კერძევაძე
1 - ნ. ლობჟანიძე
დ. მუჯირი
ხორგუაშვილი
ზ. ჯელაძე

ბათუმი 40
13 - უჯმაჯურიძე
6 - თორლაშვილი
ტულუში
5 - მუჯირი
3 - ტრაპაიძე
2 - კანტარია
ღლონტი
1 - დ. მახარაძე
მაჭუტაძე
შეყილაძე

კოლხეთი 34 (+3)
7 - გ. დარახელია
მიქაბერიძე
4 - ბ. ამბაიძე
3 - შ. ხუჯაძე
ყულეჯაშვილი
2 - გახოკიძე
ღალანიძე
1 - ბულუხია
ხოლოლაშვილი
მ. ქობულაძე

ტორპედო 32
11 - ბაშვეთია
9 - მ. მეგრელაძე
6 - გ. მეგრელაძე
3 - შენგელია
2 - ვაჩიბერაძე
1 - ვ. გიგიაძე

მარგვეთი 26
10 - ქებაძე
6 - უკლება
4 - ჯ. ნიკლაური
2 - კაციაშვილი
ხულუკაძე
1 - გაბრაჭაძე
ბარლიშვილი

ტყვეთი 26
7 - ფანცულაია
5 - გაბედავა
4 - ჯიქია
3 - ნიტაიშვილი
2 - ბარქაია
კალანდაძე
1 - აფაქიძე
ახალედიანი
მიქაძე

გორდა 25
9 - ზირაქიშვილი
7 - ა. ჯელაძე
3 - პატარიძე
2 - კედელაშვილი
ჩალაძე
1 - ალადაშვილი
მენთეშაშვილი

მერანი 22
6 - კვარაცხელია
5 - დავითაშვილი
3 - გელა ქორიძე
2 - დანელია
პერტია
1 - ივანიშვილი
კაკუბავა
ჭოლოკავა
ხორხელი

შევარდენი 17
4 - ჩუხუა
3 - როსტიაშვილი
ჩიგოშვილი
2 - კობეხაშვილი
გიორგი ქორიძე
1 - კანკავა
მელქაძე
საბიაშვილი

სამტრედია 16
3 - ბერიშვილი
ფანჩულიძე
შ. ჩომახიძე
ჩუჭუა
2 - გვახალია
ივუბიავი
ბეტკიაშვილი
1 - ბერი
ბ. ბერიძე
5 - გუდერიშვილი
3 - ხოხროშვილი
2 - ო. კორლალიძე
1 - ბერიძე
განვეი
გვიანიძე
ლ. კორლალიძე
ყოლბაია

დილა 14
6 - რევაზიშვილი
3 - რ. ხაჭაპურიძე
2 - გ. ლომიძე
1 - თარხნიშვილი
კაიდარაშვილი
მარუხაშვილი

სამგურალი 14
4 - უშვერიძე
ხურცილავა
2 - ჯანაშია
1 - ბუნტური
გელაშვილი
ეხაიაშვილი
ფეხტვენიძე

სიონი 11
4 - ქოიავა
2 - გაბიხონია
მეტრეველი
ჯაგიდისი
1 - ყაველაშვილი

ივერია 12
4 - თორია
3 - ნივნივაძე
2 - შ. ლაცაბიძე
1 - გლუნჩაძე
ზ. ლაცაბიძე
ტყემალაძე

კახეთი 6
3 - ბაბულაიძე
1 - შალამბერიძე
შონია
ჭვრიტიძე

აქა-იქ ახალი მოთამაშენიც გამოჩნდნენ, რომელთაც უკვე მიიპყრეს სპეციალისტთა ყურადღება, თუმცა, ისინი ჯერ ვერ აესებენ დანაკლისს, რაც საქართველოს ჩემპიონატმა წამყვან ფეხბურთელთა გადინებით განიცადა.

ვინც ჩვენს ჩემპიონატს თვალს ადევნებს და მომავალ თაობას კოჭებში აკვირდება, ადვილად შეამჩნევს, რომ ახალგაზრდები ნიჭიერების სიმცირეს არ განიცდიან. ფორვარდები თითქმის ყველანაირ გემოვნებას აკმაყოფილებენ, მეკარეთა და მცველთა კარგი თაობაც მოდის, მაგრამ გონიერ ნახევარმცველთა დეფიციტი ერთობ საგრძნობია. ყველა ყველა, მაგრამ ახალგაზრდა გამთამაშებელი, რომელიც გუნდს ტვინია, საქართველოში სანთლითაა საძებნელი.

დღეს ქართული ფეხბურთის უმთავრეს ნაკლად უხეირო ფიზიკურ მომზადებას ასახელებენ. ამ ნაკლის აღმოფხვრა კი მაშინ, სანამ ასანთი 1 თეთრი არ ეღირება, ვერავის წარმოუდგენია. სხვაგვარად განმეორებადია, ევროტურნირებზე გასვლა გინდოდეს და შენს ქალაქში ომს გადარჩენილი მძლეოსნობის კომპლექსისკენ არც გაიხედო?

ადრეც ვწერდი, საქართველოში მწვრთნელები კი იცვლებიან, მაგრამ კარგი დამრიგებლების რაოდენობა თითქმის უცვლელია. ამ ფონზე სასიამოვნოა „მერანის“ სათავეში თემურ მახარაძის ხილვა, რომელიც I ჯგუფისთვის სულაც არ გახლავთ ახალბედა, მაგრამ კარგა ხნის შესვენების შემდეგ ახლაღა მოხერხდა მისთვის მეტი თავისუფლების მინიჭება. დღევანდელი ნაღვაწით უეფას თასის მატჩებში დავით ყიფიანმაც დაგვაჯერა, მაგრამ შინაურ თამაშებში მისთვისაც უფრო სასიამოვნო უნდა იყოს მუშაობა ისეთ ხალხთან საპაექროდ, როგორიც „მერანის“ მწვრთნელია. მწვრთნელი კი ისეთი ვინმეა, გუნდს რომ სჭირდება, რაშიც კოლხთა ევროპულმა წარუმატებლობამაც დაგვარწმუნა.

საბოლოოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ჩემპიონატში საქმეები გუშინდელზე ოდნავ უკეთ და ალბათ, ხვალინდელზე უარესად მიდის.

ვახტანგ ბზიკაძე

3:0 - „ხიონს“ „კოლხეთთან“ ჩაეთვალა წაგება
• - „კახეთს“ ჩამოერთვა 5 ქულა

№	გუნდები	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	№	შინ						სტუმრად						ხელ						№
1	დინამო		3:3	2:0	8:0			4:1	4:0		6:0			6:0	8:2		2:0	1	9	8	1	0	43-6	25	5	4	1	0	17-4	13	14	12	2	0	60-12	38	1
2	ბათუმი				4:1	3:0	1:0	7:0		3:1	3:0			4:0		2:0	6:0	2	9	9	0	0	33-2	27	6	1	4	1	7-7	7	15	10	4	1	40-9	34	2
3	კოლხეთი		3:2						1:1		6:2	1:1		4:0	1:0		4:0	3	7	5	2	0	20-6	17	8	5	0	3	14-13	15	15	10	2	3	34-19	32	3
4	მარგვეთი			0:1		3:0	1:2	2:0		2:0			3:0	2:1		4:0		4	8	6	0	2	17-4	18	7	3	1	3	9-17	10	15	9	1	5	26-21	28	4
5	მერანი	0:0		4:0			2:1	0:0		3:1			4:1			0:0		5	7	4	3	0	13-3	15	8	3	1	4	9-14	10	15	7	4	4	22-17	25	5
6	ოდიში			4:1						5:0		2:0	5:1			2:0	3:0	6	6	6	0	0	21-2	18	8	1	1	6	5-12	4	14	7	1	6	26-14	22	6
7	გურია			0:1			2:0			2:0			5:4			1:0	3:0	7	6	5	0	1	13-5	15	9	1	2	6	3-21	5	15	6	2	7	16-26	20	7
8	დილა		0:0		4:3	1:2	2:0	0:0			1:0			3:1		1:0		8	8	5	2	1	12-6	17	7	0	3	4	2-13	3	15	5	5	5	14-19	20	8
9	ტორპედო	2:4		1:4					5:0			1:1	4:3	3:1	3:0		6:1	9	8	5	1	2	25-14	16	7	1	0	8	7-20	3	15	6	1	8	32-34	19	9
10	სამტრედია				0:2	1:0	2:1	1:2		3:1			1:0	4:1		1:0		10	8	6	0	2	13-7	18	7	0	0	7	3-21	0	15	6	0	9	16-28	18	10
11	შევარდენი	1:5	1:1		0:0	1:2		4:0	1:1		2:0				3:1			11	8	3	3	2	13-10	12	7	1	3	3	4-10	6	15	4	6	5	17-20	18	11
12	გორდა	2:6	0:1	2:4					1:0			3:0		2:1	2:0		3:0	12	8	5	0	3	15-12	15	7	0	1	6	10-23	1	15	5	1	9	25-35	16	12
13	სამგურალი					1:1	2:1	1:0				1:1			0:1	1:0	3:1	13	7	4	2	1	9-5	14	8	0	0	8	5-28	0	15	4	2	9	14-33	14	13
14	ივერია		0:0		1:2	3:4	0:0	2:0	0:0		2:1							14	7	2	3	2	8-7	9	8	1	0	7	4-21	3	15	3	3	9	12-28	12	14
15	ხიონი	1:2		0:3						2:4		2:0	1:1		3:0		2:0	15	7	3	1	3	11-10	10	8	7	1	0	0-12	1	15	3	2	10	11-22	11	15
16	კახეთი				0:1	1:0			1:0		1:0	0:1			1:0			16	6	4	0	2	4-2	12	9	0	0	9	2-32	0	15	4	0	11	6-34	7'	16

მალხაზ მახარაძე: ჩემს თავს ბევრი დავაკელი

ყოველ ბათუმელს საყვარელი გუნდის ხსენებისას პირველ რიგში უდაოდ მალხაზ მახარაძე ჰყავს მხედველობაში. ბათუმელთათვის მათი კაპიტანი მართლაც ბევრს ნიშნავს, იგი გუნდის სული და გული, მოედანზე და მის გარეთ რაინდობის განსახიერებაა. ეს არის მოთამაშე, ვის წინააღმდეგ თამაში მეტად ძნელია. მაგრამ...

...მას გაცილებით დიდი ფეხბურთი უნდა ეთამაშა. ნიჭიერ და გონიერ ფეხბურთელს სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ — ეს ორი თვისება ხომ ფეხბურთში მეტად იშვიათი შეხამებაა. მალხაზი კი საქართველოს ჩემპიონატს ვერ გაცდა. თუმცა, ჩვენში ერთ-ერთ საუკეთესო ლიბეროდ მიიჩნევენ, დაცვასაც ადუღაბებს და შეტევებშიც ხშირად ერთვება.

...სინანულით ამბობს:

— ისე ვერ მოვინდომე, როგორც საჭირო იყო. ადამიანს ყველაფერში ბედი უნდა დაჰყვეს, მე კი იგი ხშირად არ მწყალობდა. მაგრამ ყველაფერს მხოლოდ უბედობას ვერ დავაბრალებ. თავად ვარ დამნაშავე — ახალგაზრდას კარიერის დაწყებისას მეტი უნდა მევარჯიშა. რომ მომენდომებინა და ისე მეცხოვრა, როგორც დიდ სპორტსმენებს უცხოვრიათ, დარწმუნებული ვარ, გაცილებით მეტს მივაღწევდი. ამას ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ. ვარჯიშით მართლაც ბევრის მიღწევა შეიძლება. მაგრამ ახლა ამაზე საუბარი გვიანია.

— როგორც ჩანს, რეჟიმს არ იცავდი.

— ასე იყო, თუმცა, ყოველთვის არა. იყო დრო, საკმაოდ მკაცრადაც ვიცავდი. მაგრამ ბედი არ გინდა? შეიძლება ერთხელ არ გაგიმართლოს, მაგრამ ორჯერ, სამჯერ და მერე მუდამ ასე გაგრძელდეს? მერე დავიწყე და თავისუფლება მივეცი თავს.

...მალხაზი რამდენჯერმე მოიწვიეს „დინამოში“, მაგრამ გუნდს ვერცერთხელ ვერ შერჩა. არადა, ისეთი დრო იყო, „დინამოს“ გარეთ დარჩენილი მოთამაშე უსახელობისთვის იყო განწირული. სად იყო მაშინ ეროვნული ჩემპიონატი, სხვა გუნდების მოთამაშეებსაც რომ ჰქონოდათ თავის გამოჩენის საშუალება. ფეხბურთელის გულისტკივილის და სინანულის ერთ-ერთი მიზეზი ესეცაა. არადა, ყველას ეხსომება, რაოდენ დიდი იმედი ჰქონდათ მალხაზ მახარაძესი. მაშინ ბავშვი ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს დავით ყიფიანის ´ნათქვამი — მალხაზ მახარაძეზე დიდ იმედებს ვამყარებ, მისგან დიდი მოთამაშე უნდა გაიზარდოსო. ბუნებრივია, ამის გახსენება თავად მალხაზსაც სიამოვნებს.

— 1986 წელს მეორედ მიმიწვიეს „დინამოში“ და ბევრსაც საუბრობდნენ ჩემს გადასვლაზე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. 1989 წელსაც დამაბრუნეს გუნდში, ყიფიანი იყო მთავარი მწვრთნელი. მაშინ უკვე დავაჟკაცებული ვიყავი. მერე ერთი წელი „გურიაში“ გავატარე და მას შემდეგ „ბათუმის“ გარდა არსად მთამაშია. ყოველნაირად ვცდილობ, თავი არ დავზოგო და გულშემატკივრებს ჩემი თამაშით სიხარული მივანიჭო.

— დაიწყო ეროვნული ჩემპიონატი და ბეჭრმა უცხოეთს მიაშურა. დავიჯერო, შენ ასეთი სურვილი არ გაგჩენია?

— საქმე ისაა, რომ მიწვევები არ მქონია, თორემ წასვლა როგორ არ მინდოდა. უპირველესად, იმის გამო, რომ საქართველოში მოთამაშეს ნორმალური მატერიალური პირობები არა აქვს. წასვლის სურვილიც ამიტომ მქონდა, მაგრამ მხარში არავინ ამომიდგა. ეტყობა, ჩემი არ სჯეროდათ.

...სახტად დავრჩი. რამდენ მოთამაშესთან არ მისაუბრია, რამდენი ტყუილ-მართალი არ მსმენია იმის შესახებ, თუ რატომ ვერ დარჩა ესა თუ ის ფეხბურთელი უცხოეთში. ასეთი გულახდილი პასუხი კი პირველად მოვისმინე.

— შენი რატომ არ სჯეროდათ? ან ვის შეამჩნიე ეს?

— კონკრეტულად არაფერს გავიხსენებ — არ მინდა, არ მსიამოვნებს. არ მინდა კონკრეტულ პიროვნებას დავაბრალო, მაგრამ ფაქტია — თუ „დინამოში“ არ თამაშობდი, შენს მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება ჰქონდათ. „ბათუმსაც“ ალმაცერად უყურებდნენ და ნაკლებ ყურადღებასაც აქცევდნენ. უცხოელისთვის ხომ საქართველოში მხოლოდ ერთი გუნდი — „დინამო“ არსებობს.

— ეს არცაა გასაკვირი — სახელი ბევრს ნიშნავს. ევროპაში ხომ საქართველოს და ქართულ ფეხბურთს თითქმის არავინ იცნობდა. თუ იცნობდნენ, მხოლოდ „დინამოს“...

— ასე იყო. ყველა ბავშვის ოცნება დღეს „აიაქსში“ მოხვედრაა. იქ თუ აგიყვანეს, მერე გზა ყველგან ხსნილი გაქვს, იქ ხომ უხვერო მოთამაშე არ ჰყავთ. „დინამო“ კი საქართველოს მაშტაბით „აიაქსია“. ასეთია ცხოვრება. ყველაფერში ბიძგი სჭირდება ადამიანს.

...თექვსმეტი წლის წინ, 1980 წელს, 17 წლის მალხაზ მახარაძე „ბათუმში“ აიყვანეს. ამ ხნის მანძილზე გუნდმა უამრავი მოთამაშე და რამდენიმე მწვრთნელი გამოიცვალა.

— მალხაზ, რომელი წლების „ბათუმს“ გამოარჩევდი?

— როგორ ფიქრობთ, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის II ლიგა ან თუნდაც I ლიგაში მოასპარეზე „ბათუმი“ „ეინდჰოვენს“ რომ შეხვედროდა, შეხვედრას ფრედ დაამთავრებდა? რა თქმა უნდა, არა და ამაზე ფიქრიც კი სასაცილოა. ვამბობთ, ეროვნული ჩემპიონატი დაბალი დონისაა. მართალია, ასეც არის, დღეს ევროპისგან შორს ვართ, მაგრამ, როგორც ვამჩნევ, დონე თანდათან მაღლდება. ისე, ყველა წამყვანი მოთამაშე თუ უცხოეთში წავიდა, მაღალ დონეზე საუბარი ცოტა ძნელი იქნება. ნორმალურ ჩემპიონატს ხომ ნორმალური მოთამაშეები ქმნიან. ბავშვებმაც ხომ ვიღაცისგან უნდა აიღონ მაგალითი, ასე არ არის?

...„ეინდჰოვენთან“ შეხვედრას გვერდი ვერ ავუარეთ. 12 სექტემბერს რა დამავიწყებს, განსაკუთრებთ, მახარაძის თამაშს. თითქოს მეორე სუნთქვა გაეხსნა — ქართველი ლიბეროს ასეთი თამაში, პირადად მე, ჩივაძის შემდეგ არ მინახავს. დაცვაში ხომ მოაგვარა საქმე, შემდეგ წინა ხაზსაც დაეხმარა. ახლა რა უნაკლო და უზადო გადაცემებს აკეთებდა! მუჯირმა სწორედ მისი უშორესი გადაცემის შემდეგ გაიტანა გოლი. „ეინდჰოვენთან“ ჩვენ, ალბათ, ის მახარაძე ვიხილეთ, თავიდან რომ წინასწარმეტყველებდნენ სპეციალისტები. დასანანია, რომ ეს ასე გვიან მოხდა.

— ფრეს, პირველ რიგში, მონდომებით მივაღწიეთ. დიდი სურვილი გვქონდა, გულშემატკივრის თვალში არ შევრცხვენილიყავით. ხომ გვამხნევებდნენ თამაშის წინ, მაგრამ ვგრძნობდით, რომ ჩვენი წარმატების არავის სჯეროდა. აქ თავმოყვარეობამაც ითამაშა დიდი როლი. როცა ფეხბურთელი ნიჭიერია და თავმოყვარე, ვერაფერი დაუდგება წინ. შერცხვენა არავის სურს. მაგრამ თავმოყვარეობა ყველას არა აქვს. ჩვენთან კი თავმოყვარე ბიჭები თამაშობენ. ეს ბევრს ნიშნავს.

— „ბათუმს“ განწყობილების გუნდად იცნობენ და ვფიქრობ, ეს მართალია. „ეინდჰოვენთან“ ფრეს შემდეგ, იმის ნაცვლად, რომ ძალა შეგმატებოდათ, ეროვნულ ჩემპიონატში მეტად დასანანი ქულები დაკარგეთ. თანაც, სწორედ მონდომება და შენს მიერ ნახსენები თავმოყვარეობა გაკლდათ. მე „დინამოსთან“ შეხვედრას არ გგულისხმობ...

— მართალია, მაგრამ სათამაშო განწყობას პირობებიც გიქმნის კაცს. ხაშურში რომ ჩავედით, პირველად მოედანი ვნახეთ და ხასიათი გაგვიფუჭდა — იქ ფეხბურთის თამაში არ შეიძლება. ახლა შვიდი კაცი გვყავს ნაოპერაციევი — მენისკი აწუხებდათ. ისეთ მოედანზე ვვარჯიშობთ, სადაც დაშავების საფრთხე დიდია. მენისკების ცნობილი სპეციალისტი — ვაჟა გაფრინდაშვილი გაოცებული იყო, ამდენი მენისკიანი არცერთ გუნდში არ შემხვედრიაო. პირველად ის გვკითხა, როგორ მოედანზე ვარჯიშობთო. გამოცდილი სპეციალისტია და იცის, რაც იწვევს ტრავმებს. ოღრო-ჩოღრო მოედანზე რომ ითამაშებ, მენისკს ვინ ჩივის, თავ-პირს რომ არ დაიმტვრევ, მადლობა უნდა თქვა. ქულებიც ტყუილად ამად დავკარგეთ — მოედანზე სათამაშო განწყობით ვერ გამოვედით და შედეგიც შესაფერისი გვქონდა.

— მაგრამ, დამეთანხმებით, თუ გუნდს საპრიზო ადგილზე აქვს პრეტენზია, ყველანაირ მოედანზე უნდა გაიმარჯვოს...

— რა თქმა უნდა, ასეა. მოედნის ხარისხი მიზეზი არ არის. მაგრამ ფეხბურთი ხომ ის თამაშია, რომლითაც ყველამ უნდა ისიამოვნოს — მაყურებელმაც და მოთამაშემაც. როცა მოედანზე სიამოვნების მიღების ნაცვლად „სანგრები“ გხვდება, რომელ ფეხბურთზეა საუბარი? თბილისის „დინამოსთან“ ყოველთვის კარგად ვთამაშობთ. აქაური სტადიონი ისეთია, ნამდვილი ბრძოლისთვის განგაწყობს. ასევეა ბათუმშიც, სადაც მშვენიერი სტადიონი გვაქვს.

დიდი მნიშვნელობა აქვს მსაჯობასაც. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ბოლო ორი წელია, ამ მხრივ საქმე გამოსწორდა.

— წელს „ბათუმს“ შოთა ჰეიშვილი დაუბრუნდა. რითი განასხვავებდი 1993 წლისა და წლევანდელ გუნდებს?

— თვითონ მწვრთნელია შეცვლილი — შოთა ახლა უფრო დაღვინებული ჩანს. იგი შესანიშნავი სპეციალისტია.

...„ეინდჰოვენის“ თემას კიდევ ერთხელ დავუბრუნდით. მალხაზი აღშფოთებული იყო რუსულ პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაციით ბათუმელ მოთამაშეებზე. „სარბიელმა“ მაშინ ამას ასეთი კომენტარი გაუკეთა: „რუსებს ჩვენზე ბევრი ცილისწამებლური დაუწერიათ და საკითხავია, რამდენად მართალია ეს ცნობა .

— არ შემიძლია, ეს რომ არ ვთქვა: საბოლოოდ უნდა ითქვას და დადვინდეს, რომ ჩვენ სრულიად მართლები ვართ. ჰოლანდიაში მართლაც მოხდა გაუგებრობა, მაგრამ, ვიმეორებ, ეს მხოლოდ გაუგებრობა იყო და ყველაფერი გაიარკვა. რუსებმა კი ქურდებად მოგვნათლეს. ეს აბსოლუტური ტყუილია!

...ბოლოს კი ისევ ის კითხვა — რატომ ვერ გაიზარდა მახარაძე „ეინდჰოვენის“ მახარაძემდე ?

— მალხაზ, კარიერას თავიდან რომ იწყებდე, რას გაითვალისწინებდი განვლილი ცხოვრებიდან და რას შეცვლიდი?

— ძალიან ბევრი შეცდომა მქონდა. თუ ფეხბურთი გიყვარს, მისთვის ყველაფერი უნდა გაიღო. ადამიანიც ასეა — თუ იგი ძალიან გიყვარს, არაფერი უნდა დაიშურო. საერთოდ, ჩვენი ცხოვრება სიყვარულზეა აგებული. ვინც მეტს გაიღებს, მეტსაც მიიღებს. თავიდან რომ შემეძლოს ცხოვრების დაწყება მხოლოდ სიმართლით ვიცხოვრებდი. ფეხბურთს ვეულისხმობ — ჩემს თავთან კი არ ვიყავი ბოლომდე მართალი. ფეხბურთისადმი დიდი სიყვარული მეტი თავდადებით და მკაცრი რეჟიმით უნდა განმეტკიცებინა. მე კი ეს მაკლდა...

— სადამდე აპირებ კარიერის გაგრძელებას?

— სანამ შემეძლება, ჩემს „ბათუმს“ რაიმეთი დავეხმარო, ვითამაშებ და არც მერე მივატოვებ ფეხბურთს. მწვრთნელობას ვაპირებ. წელსაც მინდოდა მოსკოვის მწვრთნელთა უმაღლეს სკოლაში სწავლა, მაგრამ არ მოხერხდა, გუნდში დარჩენა მთხოვეს და მეც დავთანხმდი. დავასრულებ კარიერას და აუცილებლად წავალ მოსკოვში.

— ბოლოს, „ბათუმის“ წლევანდელ მიზნებზე გვითხარი.

— ვფიქრობ, შეგვიძლია კონკურენცია გავუწიოთ „დინამოს“.ერთადერთი გუნდი, ვინც აქამდე თბილისელებს სერიოზულად ეწინააღმდეგებოდა, „სამტრედია“ იყო. ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ ახლა ასეთი გუნდი „ბათუმია“. მაგრამ, „სამტრედიისგან“ განსხვავებით, ჩვენ გაცილებით დიდი ხნით ვიქნებით „დინამოს“ კონკურენტი.

მერაბ მამულაშვილი

რევაზ ჩელებაძე გორდას პრეზიდენტი!

გუშინ რუსთავის მერიაში ქალაქის თავი მერაბ ტყეშელაშვილი შეხვდა „გორდას“ მოთამაშეებს. შეხვედრის მიზეზი გახლდათ კლუბის ახალი პრეზიდენტის — რევაზ ჩელებაძის წარდგენა. თუმცა, ეს არავისთვის ყოფილა სიახლე — უკვე ერთი თვეა, ფეხბურთელები ამ ფაქტის ოფიციალურ დამტკიცებას ელოდნენ. თავად ჩელებაძეს კი წარსდგენა არ სჭირდება.

სეზონის წინ „ბათუმიდან“ განთავისუფლებული რეზო ჩელებაძე თითქმის ნახევარი წელი უმუშევარი იყო. თუ გახსოვთ, „სარბიელისთვის“ მიცემულ იმჟამინდელ ინტერვიუშიც ბრძანა, შესაძლოა, ფეხბურთის ფედერაციაში დავიწყო მუშაობაო. ამ დროს ჩელებაძეს მოულოდნელად ახალი, მისთვის უკეთესი ვარიანტი გამოუჩნდა.

რთულ პერიოდში მოუწევს რუსთაველთა ახალ პრეზიდენტს მუშაობა. „გორდა“ ფინანსურმა კრიზისმა ისეთ დღეში ჩააგდო, შარშანდელი შემადგენლობიდან, ფაქტიურად, მოთამაშე აღარ შერჩა. დარჩენილებსაც გაქცევაზე უჭირავთ თვალი. ამის მიუხედავად, ჩელებაძე სულაც არ არის უიმედოდ, მას ქალაქის ხელმძღვანელთა დახმარებით კლუბის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების იმედი აქვს. ამის კვალობაზე კი წრეებს შორის შესვენებისას „გორდას“ რამდენიმე მოთამაშით გაძლიერებასაც აპირებს, თუმცა, ჯერ სასურველ მოთამაშეთა გვარების დასახელებისგან თავი შორს დაიჭირა: „რუსთავი უდიდესი პოტენციალის მქონე ქალაქია. ბავშვთა ფეხბურთშიც საქმის მცოდნე მწვრთნელები მუშაობენ, ნიჭიერი მოთამაშეც ბევრია და ამ პოტენციალის გამოუყენლობა საცოდაობა იქნება. ჩემი მიზანიც აქედან გამომდინარეობს — შევქმნა ისეთი გუნდი, რომელიც საქართველოში კონკურენციას გაუწევს ნებისმიერ მეტოქეს და ევროთასების საგზურებისთვის იბრძოლებს. წლევანდელი ჩემპიონატის დარჩენილ დროში ამის მიღწევა ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ საქართველოს თასისთვის ბრძოლას მაინც შევეცდებით.“

ბოლო წლებში რუსთაველ ფეხბურთელებს არაერთხელ შესცვლიათ ხელმძღვანელები. ყველა მათგანი „გორდაში“ დიდი იმედით მიდიოდა, მერე კი დიდადვე იმედგაცრუებული ტოვებდა გუნდს. ვნახოთ, რას მოიტანს რეზო ჩელებაძის პრეზიდენტობა. იმედია, იგი მაინც იქნება ფეხბედნიერი.

მერაბ მამულაშვილი

მალხაზ მახარაძე „დინამოს“ წინააღმდეგ

ლობჟანიძე ინგლისში მაინც წავა!

20 ნოემბერს ეროვნულ სტადიონზე გამართული მეექვსე ტურის გადადებული შეხვედრა „დინამო“ — „ბათუმი“ თბილისელთათვის მთლად ბედნიერი ვერ გამოდგა. ჯერ იყო და, დინამოელებმა ვერ იმარჯვეს, თამაში ფრედ დასრულდა. ქულას ვინ ჩივის, მატჩის ბოლო წუთზე კახა გოგიჩაიშვილი სერიოზულად დაშავდა. ტრავმას ვერც თბილისელთა გუნდის იმდღევანდელი ლიბერო და დაცვის ბურჯი ნუგზარ ლობჟანიძე გადაურჩა. „სკილეტამ“ პირველ ნახევარშივე დაიშავა მარჯვენა ფეხი და ტაიმის დასრულებისთანავე ყიფიანს შესაცვლელი გაუხდა. თამაშის მერე გასახდელიდან გამომავალ ლობჟანიძეს მტკივანი ფეხის ამბავი ვკითხეთ...

— ტკივილი ისევ მაწუხებს, ტრავმა კი რამდენად სერიოზულია, ამაზე ჯერ ვერაფერს ვიტყვი, ხვალვე გადავიღებ სურათს და ვნახოთ...

გუშინ „დინამოს“ ექიმს ზაქრო თელიას დავუკავშირდით და ლობჟანიძის ამბავი ვკითხეთ. ბატონმა ზაქრომ კი, რა დროს ნუგზარია, გოგიჩაიშვილი დაგვისნეულდა სერიოზულადო — შემოგვჩივლა. „ორმოცი წელია ფეხბურთში ვტრიალებ და, კახას რომ დაემართა, ასეთი რამ პრაქტიკაში ჯერ არ შემხვედრია, ის კი არა, სამედიცინო ლიტერატურაშიც ერთი-ორს თუ გადავყრივარო — ესაც დასძინა ექიმმა. თელია დავამშვიდეთ, გოგიჩა უკვე მოვიკითხეთ, უკეთ არისო, ვუთხარით. მაშინღა მოგვკვეთ: — ნუგზარს წვივის დაბეჟილობა აღმოაჩნდა, ტრავმა სერიოზული არ არის, საშუალოთა რიცხვს განეკუთვნება, მკურნალობას ოთხი-ხუთი დღე სჭირდება. ორი უკვე გავიდა, ასე რომ, ლობჟანიძე „დინამოსთან“ ერთად ინგლისში წავა და პირველივე მატჩისთვისაც მწყობრში იდგება.

UEFA CHAMPIONS LEAGUE

იტალიური ფინალი გამოირიცხა

მეხუთე ტური

ვიძევი — დორტმუნდი: მიხისკი და მიოლერი. ყველი გოჯისთვის იბრძვიან

A ჯგუფი

აიაქსი 1:2 ოსერი

აიაქსი: ვან დერ სარი, ფელდმანი, ბოგარდი, მელხიოტი, ვილემსი, რ. დე ბური, სხოლტენი, ვუტერი, ბაბანგიდა, ოვერმარსი, კლუივერტი

ოსერი: შარბონიე, ვესტი, დანიო, სილვესტრი, ასატი, ჰენა, ვიოლე, საიბი, მარლე, ლასლანდესი, დიომედი

გოლი: დიომედი (11), ბაბანგიდა (44), მარლე (56)

„აიაქსი“ იმის ჩრდილადაც აღარ ღირს, ერთი-ორი წლის წინ რომ იყო. ზედაც ამსტერდამელებს დენი ბლინდის და ფრანკ დე ბურის ტრავმები და ბრაზილიელი მარსიუ სანტუშის დისკვალიფიკაცია დაემატათ.

სტუმრებს ამ შეხვედრაში ლილიან ლასლანდესი დაუბრნდათ, ფორვარდი, რომელსაც სექტემბრის შემდეგ აღარ უთამაშია. ლასლანდესმა ნატკენი მოიშუშა, მწვრთნელმა გი რუმ კი მისი დიდი ნდობა გამოავლინა — პირდაპირ მნიშვნელოვან თამაშში ჩართო. ფრანგებს რომ წაეგოთ, მეოთხედფინალში გასვლის შანსს ჰკარგავდნენ, ახლა კი 9 ქულა აქვთ, იმდენივე, რამდენიც „აიაქსს“ და „ვრასჰოპერს“ და თუ ბოლო შეხვედრაში ჯგუფის აუტსაიდერ „გლაზგო რეინჯერსთან“ გაიმარჯვეს, ჩემპიონთა თასისთვის ბრძოლას გააგრძელებენ. ბურგუნდიელებმა ანგარიში მე-11 წუთზე გახსნეს. კომბინაცია ულამაზესი იყო. მარლემ ლასლანდესს მიაწოდა, ლასლანდესმა ბერნარ დიომედს, რომლის დარტყმას ვან დერ სარმა ვერაფერი დაუპირისპირა.

ორიოდ ეპიზოდის შემდეგ დიომედმა მარლეს პასით ბურთი მეკარისგან მარცხენა ძელს გაარტყა.

„აიაქსმა“ პირველად 33-ე წუთზე არ ააცილა კარს, თუმცა არნოლდ სხოლტენის ამ დარტყმას შედეგი არ მოჰყოლია. პირველი ტაიმის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე მოუსვენარმა დიომედმა მასპინძელთა ხარიხა შეაზანზარა, რამდენიმე წამში კი „აიაქსის“ ნიგერიელმა მოთამაშემ ტიჯანი ბაბანგიდამ „ოსერის“ გოლკიპერის ლაიონელ შარბონიეს წაფორხილებით ისარგებლა და ანგარიში გაქვითა.

მეორე ტაიმის მე-11 წუთზე, ბაბანგიდას თანამემამულემ და ნაკრებში თანაგუნდელმა, იმ დღეს კი მეტოქემ ტარიბო ვესტმა საჯარიმოში დიაგონალურად გაიკაფა გზა და სტივ მარლეს საგოლე პასი გადააწოდა.

რეინჯერსი 2:1 გრასჰოპერი

რეინჯერსი: გორამი, კლილენდი, ალბერტცი, გაფი, პეტრიჩი, მაკკოისტი, რობერტსონი, მილერი, ვან ფოსენი (ანდერსენი 81), ჩური, უილსონი

გრასჰოპერი: ცუბერბუჰლერი, ტულერი, გრენი, ესპოზიტო, კომიზეტი (ბერგერი 64), ლომბარდი, თურქილმაზი, ფოგელი (სუბია 80), შანინი, ჰაასი, სჩილინიჩი

გოლი: მაკკოისტი (67 პ, 73), ბერგერი (77)

ვის რა ახარებს. „გლაზგო რეინჯერსს“ 1993 წლის მარტიდან ჩემპიონთა ლიგაში არ მოეგო და ციურიხის გუნდის ძლევა ამიტომ გაუხარდა, თორემ ჯგუფიდან გასვლის შანსი ცხადია არ აქვს. 34 წლის ალი მაკკოისტმა შოტლანდიელ გულშემატკივართა საზეიმოდ ორი გოლი გაიტანა. მეორე გოლით მან ისე გაიხარა, რომ მაისური გაიხადა, რისთვისაც უნგრელმა მსაჯმა ლასლო ვაგნერმა ყვითელი ბარათით დასაჯა. ეს გაფრთხილება მაკკოისტისა და 34 ათას გლაზგოელ გულშემატკივარს არად ულირდათ — მთავარი ასე ნანატრი მოგება იყო.

მასპინძელთა მეკარემ ენდი გორამმა ორით ნოლის შემდეგ პენალტი მოიგერია. გორამისთვის ეს ერთ კვირაში მეორე მოგერიებული თერთმეტმეტრიანი გახლდათ.

ყვითელი ბარათით დაისაჯა „გრასჰოპერის“ თავდამსხმელი ქუბილაი თურქილმაზიც, რომელმაც ერთ-ერთი კუთხურის ჩაწოდებისას შოტლანდიელ ქომაგებს რაღაც ჟესტი აჩვენა. ეს გამოხდომა შვეიცარიის ნაკრების ფორვარდს ლიგის ბოლო შეხვედრის გამოტოვებად დაუჯდება.

ორივე მხარეს აკლდა მოწინავე ფეხბურთელები. სტუმრებმა მიურატ იაკინი და ვიორელ მოლდოვანი ვერ ათამაშეს, ისინი დისკვალიფიცირებულნი იყვნენ, მასპინძლებს კი ასევე დასჯილი პოლ გესქონი და დაშავებული ბრიან ლაუდრუპი და იოახიმ ბიორკლუნდი არ ჰყავდათ.

ანგარიში 66-ე წუთზე გაიხსნა. „რეინჯერსის“ ჰოლანდიელი წევრის პეტერ ვან ფოსენის ჩაწოდებულს პასკალ ტულერმა ხელი შეახო და არბიტრმა პენალტი დანიშნა. ალი მაკკოისტის დარტყმა შედეგიანი გახლდათ. ექვსი წუთის შემდეგ იორგ ალბერტცმა მაკკოისტი ხეირიან პოზიციაზე გაიყვანა. ვეტერანის დარტყმა ციურიხელთა გოლკიპერს ფეხებშუა გაუძვრინა.

ზემოთ გორამის მოგერიებული პენალტი ვახსენეთ. გამოცდილმა მეკარემ თურქილმაზის შესრულებული ჯარიმაც მოიგერია, მაგრამ 77-ე წუთზე იან ბერგერის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო.

მატჩის შემდეგ „რეინჯერსის“ მწვრთნელი ვალტერ სმიტი გახარებული იყო: — მოგებამ გვასიამოვნა, ალის მეორე გოლმა კარგი მდგომარეობა შეგვიქმნა, რასაც ენდომ პენალტის მოგერიება დაამატა. „გრასჰოპერის“ გოლმა მეტისმეტად ნერვიული ბოლო წუთები მოიტანა, მაგრამ ჩვენ მაინც შევძელით გაუთავებელი მარცხებისათვის ბოლოს მოღება. შეჯიბრებაში ერთი თამაშიც რომ არ მოგვეგო, საშინელება იქნებოდა, ახლა სხვაგვარადაა საქმე.

გრასჰოპერი	5	3	0	2	8:4	9
აიაქსი	5	3	0	2	7:4	9
ოსერი	5	3	0	2	6:6	9
რეინჯერსი	5	1	0	4	4:11	3

B ჯგუფი

სტიაუა 1:1 ატლეტიკო

სტიაუა: სტელია, ნაგი, ბოგდანი (ნემტანუ 70), პროდანი, ლუკეტუში, მილიტარუ (როხუ 73), ილიე, კალინი (ჩიოჩიუ 46), ბიკაუ, მიუ, ხერბანი

ატლეტიკო: მოლინა, ალფარო, სოლოსაბელი, ლოპეხი, ეხნაიდერი (ხუან კარლოსი 70), პანტიჩი (ვისკანიო 72), სიმეონე (აგილერა 88), კიკო, ხელი, კამინერო, ბეიბლი

გოლი: პანტიჩი (23), ილიე (46)

მართლაც რომ ვის რა ახარებს! რუმინეთის ჩემპიონს, ბუქარესტის „სტიაუას“ ამ მატჩამდე, გათამაშების ცხრილში ერთი გატანილი გოლი კი ეწერა, მაგრამ ის ლოძის „ვიძევთან“ შეხვედრაში პოლონელ მცველს დანიელ ბოგუშს საკუთარ კარში ჰქონდა შეგდებული. „ატლეტიკოს“ ბუქარესტელებმა ნაღდი, თავისი გოლი გაუტანეს.

თავიდან „ატლეტიკო“ დაწინაურდა. 23-ე წუთზე კიკომ სერბ მილინკო პანტიჩს გადააწოდა, რომელმაც მასპინძელ მცველთა უყურადღებობით ისარგებლა და ანგარიში გახსნა.

არგენტინელმა თავდამსხმელმა ხუან ესნაიდერმა მადრიდელებს ლამის მოაგებინა, მაგრამ საჯარიმოდან მის დარტყმულს ძელი დაუხვდა მედგრად. მანამდე კი, მეორე ტაიმის დასაწყისში, საბინ ილიემ ის გოლი გაიტანა, რომლის შესახებ უკვე ვისაუბრეთ.

რაც შეეხება ადრიან ილიეს, ის სამი წლით სტამბოლის „გალათასარაიში“ გადადის და ბუქარესტელ ქომაგთა სამწუხაროდ ტრავმის გამო „სტიაუაში“ ბოლოჯერ ვერ ითამაშა.

მატჩის შემდეგ მასპინძელთა მწვრთნელმა დუმიტრიუ დუმიტრიუმ თქვა, რომ ესპანელთა ძლიერ გუნდთან ფრე მას აკმაყოფილებს.

„ატლეტიკოს“ მწვრთნელი რადომირ ანტიჩი: — ჩვენ მოგებას ვიმსახურებდით, მაგრამ ჩემმა მოთამაშეებმა ჩინებული შესაძლებლობები ვერ გამოიყენეს, ძირითადად პირველ ტაიმში, საერთოდ კი, მოგეხსენებათ, როცა ხელსაყრელ მომენტებს ვერ იყენებ, ამას მოწინააღმდეგე ახერხებს.

ვიძევი 2:2 დორტმუნდი

ვიძევი: შჩესნი, შიმოკოვიაკი (ვისიჭკოვიჩი 56), ლაპინსკი, ვოიტალა, ჩიტკო, მიხალსკი, დემბიხკი, ფერვიეცი, მაიაკი, ბოგუში, მიხალჩუკი

დორტმუნდი: კლოსი, რაინჰარდტი (კრეე 88), ზამერი, როიტერი, მიოლერი, ჰერლიხი, ლამბერტი, კოლერი, ჰაინრიხი, რიკენი (ტანკო 82), ტრეტშოკი (შაპუიზა 26)

გოლი: ლამბერტი (14), დემბიხკი (15, 20), კოლერი (65)

ლოძის ძველ მოედანზე, თან წვიმა რომ სცრიდა, გერმანიის ჩემპიონმა დორტმუნდის „ბორუსიამ“ მეოთხედფინალში გასვლა გაიანადა. გერმანელები ფრის მისაღწევად იყვნენ პოლონეთს ჩასულნი და როგორც სჩვეოათ, დაგეგმილს მიაღწიეს.

— ჩვენ 2:2 გვახარებს. ეს ის ანგარიშია, თამაშის შინაარსს რომ გამოხატავს — განაცხადა დორტმუნდელთა თავკაცმა ოტმარ ჰიცფელდმა.

ანგარიში მე-14 წუთზე სტუმრებმა გახსნეს. პოლ ლამბერტმა 12 მეტრიდან გაიტანა. ამას იაეკ დემბინსკის ხუთწუთეული მოჰყვა. ჯერ ასე, 35 მეტრიდან გასროლილი ჯარიმა მან თავით „დორტმუნდის“ კარში შეაგდო, შემდეგ კი მეტად მოხდენელი, ტექნიკური დარტყმით ბურთი ყველას გადაავლო და ანგარიში ლოძელთა სასარგებლოდ შეცვალა.

65-ე წუთზე იურგენ კოლერმა კუთხურიდან ჩაწოდებული მიზანში გაუშვა და თანაფარდობა აღადგინა.

ატლეტიკო	5	3	1	1	11:4	10
დორტმუნდი	5	3	1	1	9:5	10
ვიძევი	5	1	1	3	6:9	4
სტიაუა	5	1	1	3	2:10	4

C ჯგუფი

ფენერბაჰჩე 1:0 რაპიდი

ფენერბაჰჩე: რუთუ, ილქერი, უჩე, ჰოგი, ქემალეთინი, თუნქაი, ზოლიჩი, ოკონა, კოსტადინოვი, საფეტი, ბულუთი

რაპიდი: კონსელი, ივანოვი, შიოტელი, შტიოგერი (გუგი 81), კუპბაუერი, პროსენიკი (შტუმპფი 81), ლეხიაკი, რატაიშიკი (იოვანოვიჩი 84), ვანგერი, ჰერაფი

გოლი: ჰოგი (76)

სტამბოლის გუნდმა დიდ ბრძოლაში გაიმარჯვა და მეოთხედფინალზე ოცნების უფლება დაიტოვა, თუმცა ოცნების სინამდვილედ გადასაქცევად, ბოლო მატჩში თურქებს ტურინში „იუვენტუსი“ ჰყავთ დასაძლევი.

„ფენერბაჰჩეს“ ბრაზილიელ მწვრთნელს სებასტიანო ლაზარონის დიდი მომავლის იმედი არ აქვს:

— მეოთხედფინალი ჩვენთვის ჯერაც საოცნებოა, თუმცა ბუნებრივია ჩვენსას ვცდით.

პირველ ტაიმში „ფენერბაჰჩემ“ ბევრი სცადა, მაგრამ „რაპიდის“ მეკარე მიხაელ კონსელი საუცხოოდ იცავდა კარს. შესვენების შემდეგ მასპინძლებმა ზეწოლას უმატეს და 76-ე წუთზე „საცა წვრილი იყო გაწყვიტეს!“ ზანგი უჩე ოკეჩუკეუს დარტყმა ხარიხამ დანიელი იენს ჰოგის ფეხთან უკუაგდო, რაც თურქთა გოლით დასრულდა.

მანჩესტერი 0:1 იუვენტუსი

მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, ფეი, იონსენი, ფ. ნევილი (მაკლეარი 13), ბეთი, ბეკჰემი, კანტონა, გიგზი, კინი, სოლსკიაერი (კრუიფი 81)

იუვენტუსი: პერუცი, პორინი, ფერარა, მონტერო, ტორიანელი (ჯულიანო 82), ზიდანი, დი ლევიო (ტაკინარდი 79), დეშამპი, ბოკშიჩი, იუგოვიჩი, დელ პიერო

გოლი: დელ პიერო (36 პ)

„ოლდ ტრეფორდმა“ დიდი ფეხბურთი იხილა. ყოველმხრივ შემკულმა „იუვენტუსმა“ დიდებულად მოთამაშე „მანჩესტერ იუნაიტედი“ დაამარცხა. ტურინელებმა ჯერ იყო და „ინტერთან“ იბრძოლეს იტალიის თასზე. შემდეგ ჩემპიონატის მატჩში შეებნენ „მილანს“, ოთხშაბათს კი ინგლისს ეწვევნენ ლიგის უმნიშვნელოვანესი შეხვედრის ჩასატარებლად. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ „ბებერი ქალბატონის“ გასახარად, ქვეყნის პირველობის სახვალიო მატჩი გადაუდო, თორემ ასეთი გრაფიკის პატრონთ, სამშაბათს ტოკიოში, საკონტინენტთაშორისო თასის შეხვედრაზე შესაძლოა მოედანზე ვერც გაეღწიათ.

— „იუვენტუსი“ ჩინებული იყო. მან ამ საღამოს დაამტკიცა (მეტადრე პირველ ტაიმში), რომ ნამდვილად ევროპულ კლუბთა ჩემპიონია. მისი ფეხბურთელები დიდ შემოსავალს ღირსეულად იღებენ. ისინი გამოცდილნი არიან და მუდმივად სწორად თამაშობენ. მე ანგარიშით უკმაყოფილო ვარ, მაგრამ ბედნიერად ვგრძნობ თავს, რომ ფეხბურთის ასეთი სამახსოვრო დღის მონაწილე ვიყავი — თქვა მატჩის შემდეგ „იუნაიტედის“ მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა.

— ეს შეხვედრა „იუვენტუსისთვის“ მეტისმეტად მნიშვნელოვანი გახლდათ. მე ჩემი გუნდით ვამაყობ — განაცხადა მარჩელო ლიპიმ, რომელიც შეხვედრაზე მიმავალი საავტომობილო ჭედვაში მოჰყვა და თამაშის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე აქოშინებული შევარდა „ოლდ ტრეფორდზე“. — საუბარი იმაზე, რომ რაკიღა მეოთხედფინალში ადგილი დავიბევეთ, ბოლო შეხვედრაში „ფენერბაჰჩეს“ იოლად დავუთმობთ, ზედმეტია. ჩვენ ასე არ შეგვიძლია. ჩვენ ვთამაშობთ რათა მოვიგოთ.

„იუვეს“ ეს განწყობილება ფერგიუსონისთვისაც ნაცნობი გამოდგა:

— „იუვენტუსი“ ყოველ შეხვედრაში მოგებისთვის იბრძვის, ეს მისი ჩვეულებაა. ვიცი, ისინი თურქებს არ დაუთმობენ, ასე რომ ახლა ყველაფერი ჩვენზეა.

ბოლო ტურში, ორი კვირის შემდეგ, „მანჩესტერ იუნაიტედი“ ვენაში, „რაპიდთან“ ფრეს თუ მიაღწევს, ხოლო „იუვენტუსი“ შინ „ფენერბაჰჩეს“ სძლევს, მეოთხედფინალში ბურთების უკეთესი სხვაობით ინგლისის ჩემპიონი გავა.

„ოლდ ტრეფორდზე“ გამართული ბრწყინვალე შეხვედრის ერთადერთი გოლი კი 36-ე წუთზე გავიდა. ალესანდრო დელ პიერო ნიკი ბათმა წააქცია. დელ პიერომ თავად შეასრულა თერთმეტმეტრიანი დარტყმა.

სტუმართა მხრივ, მთელი გუნდის ჩინებული თამაშის ფონზე გამოირჩეოდნენ ზინედინ ზიდანი და მეკარე ანჯელო პერუცი.

იუვენტუსი	5	4	1	0	9:1	13
ფენერბაჰჩე	5	2	1	2	3:4	7
მანჩესტერი	5	2	0	3	4:3	6
რაპიდი	5	0	2	3	2:10	2

D ჯგუფი

პორტუ 1:1 მილანი

პორტუ: ჟილარიო, ალვეში, მენდესი, კონსეისაუ, დრულოვიჩი, არტური, ბაროსო, ბინო, ედმილსონი, კოშტა, ზაპოვიჩი

მილანი: როსი, პანუჩი, მალდინი, ბარეზი, დეხაი, კოსტაკურტა, ერანიო, ბობანი, დავიდსი, ვეა, ბაჯო

გოლი: დავიდსი (55), ედმილსონი (70)

მატჩის შემდეგ, „მილანის“ ლიბერიელ თავდამსხმელს, 1995 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს ჯორჯ ვეას „პორტუს“ კაპიტნისთვის, ჟორჟე კოშტასთვის ისეთი დაურტყამს, რომ ცხვირი გაუტეხია. „პორტუ“ ჩივის, „მილანი“ კი ვეას დასაცავად ადვოკატებს ამზადებს. პორტუგალიელთა მწვრთნელმა ანტონიო ოლივეირა განაცხადა, ყველას უნდა გავაგებინოთ, რომ მილანში მკვლელია, რომელიც ფეხბურთს თამაშობს, „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანმა კი კოშტას მხრივ ვეას პროვოცირებაზე ააწყო თავდაცვის სტრატეგია. მანვე თქვა, ეს ორ ადამიანს შორის მომხდარი კონფლიქტია, თორემ კლუბებს ერთმანეთთან ჩინებული ურთიერთობა გვაქვსო.

ვეამ, რომელსაც ინგლისის „არსენალი“ და მისი „მონაკოს“ დროინდელი მწვრთნელი არსენ ვენგერი 15 მილიონ დოლარად თავისთან ეპატიჟება პორტუში ცდა არ დააკლო, მაგრამ გოლი ვერ გაიტანა. გაიტანეს დავიდსმა და ედმილსონმა, მეორე ტაიმში კი მსაჯმა კი აქეთ-იქით აშკარა პენალტები არ დანიშნა.

რუსენბორგი 1:0 გიოტებორგი

გოლი: სკამელსრუდი (67 პ)

67-ე წუთზე ნიკლას ალექსანდერსონმა თავისი კარის ხაზზე მეკარესავით ითამაშა, რისთვისაც მოედნიდან გააძევეს და ცხადია პენალტიც დანიშნეს. დარტყმა მატჩის ყველაზე თვალშისაცემმა მონაწილემ, ბენტ სკამელსრუდმა შეასრულა, შვედთა გამოცდილ მეკარეს თომას რაველის აჯობა და ლიგაში, „გიოტებორგთან“, „რუსენბორგს“ მეორე გამარჯვება მოუტანა.

პორტუ	5	4	1	0	10:4	13
მილანი	5	2	1	2	12:9	7
რუსენბორგი	5	2	0	3	5:10	6
გიოტებორგი	5	1	0	4	6:10	3

ახლა კი, ვფიქრობთ უპრიანი იქნება ჩემპიონთა ლიგის დებულების გახსენება. B ჯგუფის მეორე გუნდი A ჯგუფის პირველს შეხვდება. A-ს მეორე კი B-ს პირველს. ასევეა C და D ჯგუფებშიც. C-ს პირველი, ანუ „იუვენტუსი“ D-ს მეორეს, ანუ სავარაუდოდ „მილანს“ შეებრძოლება, D-ს პირველი, „პორტუ“ კი C-ს მეორეს — „მანჩესტერ იუნაიტედს“ ან „ფენერბაჰჩეს“.

კაპუნა კედია

ინგლისი

ლივერპული 1:1 ევერტონი

ლივერპული: ჯეიმსი, მაკატირი, რაიტი, მაკმანამანი (კოლიმორი 17), ფაულერი, ბარნსი, რედნეპი, რადოკი, ტომასი, ბიორნებიუ, მატეუ

ევერტონი: ხაუთპოლი, ბარეტი, პინჩლიფი, ანსუორსი, უოტსონი, სტიუარტი, სპიდი, ბარმბი, კანჩელსკისი (ფერგიუსონი 46), პარკინსონი, გრანტი

გოლი: ფაულერი (30), სპიდი (82)

გაფრთხილება: თომასი, ფაულერი, ფერგიუსონი

დარსაძე წავიდა

როდესაც შეგიძლია ერთ ადამიანს მაინც მიანიჭო სიხარული, შენს ადამიანურ არსებობას უკვე აქვს გამართლება. როდესაც ათი ადამიანის გახარება შეგიძლია, უკვე პიროვნება ხარ. ხოლო თუ კაცს ძალუძს ათასობით ადამიანს მოუტანოს სიხარული და ეს ჩვიდმეტი წლის მანძილზე გრძელდება, უკვე განსაკუთრებული მოვლენასთან გვაქვს საქმე. გელა დარსაძე, დიახაც, მოვლენაა ქართულ კალათბურთში. და მუხედავად იმისა, რომ ვიცით, ყველაფერს, ძალიან კარგსაც კი, აქვს დასასრული, როდესაც საქართველოს ჩემპიონატის მატჩები უდარსაძეოდ დაიწყო, კალათბურთის გულშემატკივრებს არ შეიძლებოდა გული არ დაგვწყვეტოდა გელას გადაწყვეტილების გამო — თამაშისთვის თავი დაენებებინა.

— შარშან აშობდით, ორ-სამ წელს კიდევ ვითამაშებო...

— სტიმული აღარ იყო. ჩემს გუნდს „დინამოს“ ბევრი პრობლემა გაუჩნდა. თანაც, ის ხალისიც აღარ მაქვს, ალბათ, დროა, წავიდე. ახალგაზრდებიც მოდიან და მიხვდი, რომ ადგილი უნდა დავუთმო.

— სხვა ვითარება რომ ყოფილიყო, შეიძლებოდა კიდევ გვთამაშათ?

— ჯანი და უნარი, ვგრძნობ, კიდევ მაქვს. შარშან დინამოელი კალათბურთელები დინამოელმა ფეხბურთელებმა შეგვიფარეს. პირობებიც უკეთესი გვქონდა. გუნდმა შეკრებაც კი მოაწყო ანთალიაში, ეს გვახალისებდა და „დინამომაც“ მკვეთრად უმატა თამაშს. ალბათ გახსოვთ, ჩემპიონ „ვითას“ დიდი ბრძოლა გავუმართეთ, რამდენიმე მატჩში დავამარცხეთ კიდეც, თუმცა, ჩემპიონი კვლავ „ვითა“ გახდა. წელს ასეთი პირობები აღარ არის და მეც აღარ მეყო ფსიქოლოგიური ძალა კარიერის გასაგრძელებლად.

— თქვენი პირველი მატჩი „დინამოში“ გახსოვთ?

— რა დამავიწყებს! ეს ჩვიდმეტი წლის წინ იყო მოსკოვში, ცსკასთან. ჩვიდმეტი წლის ვიყავი და ისეთი დიდი კალათბურთელების წინააღმდეგ მომიწია თამაშმა, როგორებიც სერგეი ბელოვი, ალუან ჟარმუხამედოვი და სხვები იყვნენ.

— ჩვიდმეტი წელი დიდი დროა სპორტსმენისთვის. რაზე გწყდებათ გული?

— საბჭოთა კავშირის პერიოდში, რა თქმა უნდა, მინდოდა, ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატში მიმეღო მონაწილეობა. მაგრამ, ეტყობა, იღბალიც გინდა. მაინცდამაინც იმ დროს, როცა გამოვდიოდი, ჩემს ადგილზე საბჭოთა კავშირში ბევრი ძლიერი კალათბურთელი იყო — ერიომინი, ვალტერსი, ხომიჩუსი. მხოლოდ ერთხელ, საპერძნეთის ევროპის ჩემპიონატის წინ მოვხვდი ნაკრების შეკრებაზე — ბულგარეთში ვიყავი ნაკრების შემადგენლობაში. მაგრამ ევროპის ჩემპიონატზე მაინც არ წამიყვანეს.

გაფრი კეთილაძის ფოტო

— არადა, მახსოვს, „სოვეტსკი სპორტში“ ბევრჯერ დაწერილა, დარსაძე რატომ არ მიგყავთ ნაკრებშიო?

— ეს მართლაც ბევრჯერ იყო. თითქოს სულ ერთი ნაბიჯიღა იყო საჭირო, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

— საქართველოს ეროვნულ ნაკრებში?

— თუ გულისწყვეტაა, აქ უფრო დაწყდა გული. როდესაც ნაკრები ინგლისში მიდიოდა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევის ტურნირზე, თითქოს ნაკრებში ადგილი გარანტირებული მქონდა, მაგრამ ზედ წასვლის წინ აღმოჩნდა, რომ მე ნაკრების შემადგენლობაში არ ვიყავი. ეს ჩემთვის საშინელი მოულოდნელობა იყო. ჯერ ერთი, თამაშის კლასით აშკარად მეკუთვნოდა ნაკრებში გამოსვლა; მეორეც, თუნდაც, ვთქვათ, მეშვიდე ან მერვე კაცი ვყოფილიყავი, ნუთუ იმდენი არ დამიმსახურებია, დამოუკიდებელი საქართველოს ნაკრების პირველ ოფიციალურ ტურნირში მეთამაშა? თანაც, ვიმეორებ, ზრდილობის გულისთვის ხომ არ ვიქნებოდი ბუნდში, თამაშის ხარისხითაც მეკუთვნოდა.

— სიტყვამ მოიტანა და, რას იტყვით საქართველოს ნაკრებზე?

— ძალიან კარგი გუნდია და, რაც მთავარია, პერსპექტიულია. ერთი-ორი კაცისგარდა ყველას ცხრამეტი-ოცი წლის ბიჭია. წარმოიდგინეთ, ამათ რამდენი ხანი უნდა ითამაშონ ერთად და მათი თამაშის კლასიც უთუოდ ამაღლდება.

— თქვენი აზრით, რა პრობლემები აქვს ნაკრებს?

— საქართველოს ჩემპიონატში თამაშის ხარისხის გაუმჯობესება ძნელი საქმეა, სტეფანია დროზე რომ არ წასულიყო, ალბათ, ისევ პირვანდელ დონეზე იქნებოდა ახლა საკმაოდ ძლიერ გუნდში თამაშობს. და ხომ ხედავთ, რა მოთამაშე დადგა. ძალიან კარგები არიან ნაცვლიშვილი და ქარაბაკიც. მოულოდნელად, საქართველოს ნაკრებში გამთამაშებლის პრობლემა დადგა. ნაკრები, ფაქტიურად, მხოლოდ უსტიაშვილის იმედზეა. არადა, ადრე პირიქით იყო, გამთამაშებლები ყოველთვის ბევრი და კარგი გვყავდა და უფრო და უფრო ტანმაღლები გვიჭირდა. საჭიროა, აგრეთვე, შორიდან მსროლელის აღზრდა. გია სანაძის გარდა შორიდან სტაბილური მტყორცნელი ნაკრებს არ ჰყავს. ქარაბაკს შეუძლია სამქულიანების ტყორცნა, მაგრამ ეს ჯერჯერობით სტაბილურად არ ხდება და თანაც ქარაბაკი მაინც მეოთხე ნომერი, ფართან მებრძოლი კალათბურთელია. მოკლედ, მოთამაშეებს პრაქტიკა სჭირდებათ. მას შემდეგ, რაც „ვითამ“ ევროტურნირების რამდენიმე მატჩი ითამაშა, ნაკრებმაც აშკარად მოუმატა თამაშს. ნახეთ, სლოვაკეთს რა ადვილად მოვუგეთ. მათთან პირველი თამაშის დროს ეს გამოცდილება რომ ყოფილიყო, არ წავაგებდით. არც ისრაელთან მოგებულ თამაშს არ წავაგებდით. მოკლედ, ნაკრები ძალიან კარგი გუნდი დადგება.

— ისე როგორ იქნება, საქართველოს ჩემპიონატზე არ ვთქვათ...

— რა უნდა ვთქვა, თავად ხედავთ, რომ სრულფასოვანი ჩემპიონატი არა გვაქვს. რამდენი გუნდი თამაშობს კალათბურთს? შარშან „ვითა“, „დინამო“ და რუსთაველები. წელს ისაა კარგი, კოლია დერიუგინის სდასუ რომ ათამაშდა. მაგრამ ეს ხომ ცოტაა. გუნდებს ხელშეწყობა სჭირდებათ. ჯერაც ნორჩი ბიჭების ძალზე კარგი თაობა მოდის, მათ მთელი გულით სწადიათ დიდი კალათბურთის თამაში, მაგრამ თუ არ მიეხედათ, გული აუცრუვდებათ და დაიკარგებიან. თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლისას შეგიძლია ენთუზიაზმით თამაში, მერე კი როცა გარკვეულ დონეს მიაღწევ, პირობები გინდა, წელანაც გითხარით, როცა „დინამოში“ პირობები გაგვიჩნდა, გუნდს ეს უმალ დაეტყო. ახლა ბიჭები თავად ეძებენ გამოსავალს. როგორც გავიგე, ოთიურიძე და ბერძენიშვილი უცხოურ გუნდებში წავიდნენ გასასინჯად.

— როგორ აფასებთ მოთამაშეთა მიგრაციას?

— აბა, რა ქნან?! სანამ ჩვენი ჩემპიონატის დონე არ ამაღლდება, ასე ჯობს. კალათბურთელი ხომ უნდა გაიზარდოს.


გაფრი კეთილაძის ფოტო

— ახალგაზრდა რომ იყოთ, წახვიდოდით?

— ჩემს ახალგაზრდობაში ამის აუცილებლობა ნაკლებად იყო. საბჭოთა კავშირის საკალათბურთო ჩემპიონატი საკმაოდ მაღალი დონის იყო. რუსები, ლიტველები, ლატვიელები, უკრაინელები, ესტონელები მაღალი დონის კალათბურთს თამაშობდნენ და მათთან თამაში დიდი სკოლა იყო. თავადაც იცით, საბჭოთა ნაკრები ერთ-ერთი უძლიერესი იყო მსოფლიოში. ისე, ახლა რომ 24-25 წლისა ვიყო, ვფიქრობ, ევროპის მაღალი კლასის გუნდში შევძლებდი თამაშს.

— რომელი კალათბურთელების თამაში მოგწონდათ იმათგან, ვინც გინახავთ?

— ნბა-ზე რომ არაფერი ვთქვათ, ჩემს ამპლუაში სერგეი ბელოვს, ვალტერსს, ერიომინს, მარჩულონისს დავასახელებ.

— ამერიკელებზეც ვთქვათ...

— რა თქმა უნდა, მაიკლ ჯორდანი და მეჯიქ ჯონსონი. და კიდევ, განსაკუთრებით აიზია თომასის თამაში მომწონდა.

— საბონისი?

— მე ჩემი ამპლუის მოთამაშეები ჩამოვთვალე. საბონისი ერთ-ერთი უდიდესი მოთამაშეა კალათბურთის ისტორიაში და მჯერა, მისთვის ტრავმას რომ არ შეეშალა ხელი და დროზე გადასულიყო ნბა-ში, იქ ძალიან დიდ წარმატებას მიაღწევდა. თუმცა, თავადაც ხედავთ, ამ ასაკშიც კი ნბა-ში მაღალ დონეზე თამაშობს.

— რას იტყვით ქართული კალათბურთის მომავალზე?

— მჯერა, რომ საქართველოში კალათბურთს დიდი მომავალი აქვს. ჩვენთან ბიჭებს ძალიან უყვართ სპორტის ეს სახეობა და სურვილიც აქვთ დიდი კალათბურთი ითამაშონ. ძალზე ნიჭიერი თაობა მოდის და განსაკთრებული მიხედვა სჭირდება. თანაც, არ მგონია, საქართველოში ისე უჭირდეთ, რომ საკალათბურთო გუნდები ვერ შეინახონ. ეს ხომ არ არის ძვირადღირებული სპორტი.

მოგებაც დიდი შეიძლება მოიტანოს, რადგან ჩვენში კალათბურთის მაყურებელი არ აკლია. აი, ხომ ხედავთ, ვერის ბაღში, ამ ყინვაშიც რამდენი ადამიანი ესწრება ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს. საქართველოს ნაკრები კი ძალიან პერსპექტიულ გუნდად მიმაჩნია. იმათ გარდა, ვინც ნაკრებშია, ათამდე პერსპექტიული ახალგაზრდაც არის, თუ ორსამ წელიწადში ყველაფერი დალაგდა და სათანადო ხელშეწყობა იქნა, ჩემი აზრით, ქართველებს საკმაოდ მაღალ დონეზე შეეძლებათ თამაში, ყოველ შემთხვევაში, შესარჩევი ჯგუფიდან ჩვენი ნაკრების გასვლა პრობლემა არ იქნება და ევროპის საკალათბურთო ათეულშიც არ იქნებიან ბოლოები. ოღონდ, რა თქმა უნდა, ყურადღებაა საჭირო.

ნოდარ ჯორჯიკიამ ბურთი ლევან ინწკირველს გადააწოდა. ინწკირველმა გურამ მინაშვილს, მინაშვილმა ზურაბ საკანდელიძეს, საკანდელიძემ თამაზ ჩიხლაძეს, ჩიხლაძემ გელა დარსაძეს, დარსაძემ...

თამაში გრძელდება.

ილია მხეიძე

ლიდერი ორია

ვერის ბაღი. 21 ნოემბერი. ასკ სტუ — მერანი 114:61, დინამო 2 — დინამო 80:104, კოლხა — სდასუ 67:100.

ამ დღის შეხვედრაში გამოსარჩევი მაინცდამაინც არც ერთი იყო. შედარებით მოულოდნელი გახლდათ არმიელთა ასეთი დიდი ანგარიშით გამარჯვება „მერანთან“ და პატარა დინამოელების ვაუკაცური თამაში დიდ დინამოელებთან.

22 ნოემბერი

სდასუ — დინამო 77:74

სდასუ: აბრამიძე (17), დავითულიანი (13), ეგუტია (7), ჩუბინიძე (2), დერიუგინი (24); აბულაძე (14), ჭიგანია, გაგნიძე

დინამო: ხოშტარია (6), ცხვედიანი (26), ოთიურიძე (9), სხიერელი (7), ბეჟანიშვილი (17); მაისურაძე (2), ნიკოლაძე (1), კოლაძე (6)

ეს, ჯერჯერობით, ჩემპიონატის ყველაზე დაძაბული და საინტერესო მატჩი იყო. სდასუს თამაში სხვა გუნდებთან იმის იმედს იძლეოდა, რომ ეს გუნდი ლიდერებსაც გაუმართავდა ბრძოლას. ამიტომ სდასუ — „დინამოზე“ საკმაოდ ბევრი გულშემატკივარი მოვიდა და აკი არც შემცდარან.

„დინამოს“, ადრინდელ შეხვედრებთან შედარებით, დაემატა თურქეთიდან დაბრუნებული ოთიურიძე, რომელიც იქ „ფენერბაჰჩეს“ ფარმ-კლუბში იყო გასასინჯად და როგორც თავად ვასკომ გვითხრა, მომავალი სეზონიდან, ალბათ, იქ ითამაშებს.

ანგარიში სამქულიანით ცხვედიანმა გახსნა და მთელი პირველი ტაიმი სდასუ მდევრის როლში იყო. თუმცა ყველაზე დიდი სხვაობა რვა ქულას არ გადასცდენია. სდასუს პრობლემა ისაა, რომ მოკლე სკამი აქვს და ამიტომ ცხარე ორთაბრძოლებისასაც კი უნივერსიტეტელები იმაზე ფიქრობდნენ, პერსონალური არ მიეღოთ. მაგრამ ასეთ ვითარებაშიც ისინი ჩინებულად ირჯებოდნენ. დაცვაში შესანიშნავად მოქმედებდა ჩუბინიძე, რომელიც დერიუგინს იცავდა პერსონალურებისაგან, დავითულიანის გარღვევებს მეტოქენი ვერ აჩერებდნენ და დერიუგინიც მერამდენედ ამტკიცებდა, რომ ჭკუა კალათბურთელისათვის სულაც არაა მეორეხარისხოვანი. მაგრამ „დინამო“ მაინც „დინამოა“ და უნივერსიტეტელთა მცდელობა, დასწეოდნენ ანგარიშში, საკმაო ხანს უნაყოფო გამოდგა. პირველი მცდელობისას ეგუტიამ და ჩუბინიძემ შესანიშნავად იბრძოლეს ფარქვეშ, ზედიზედ სამჯერ მოიგეს ფარიდან ასხლეტილი ბურთი და სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირეს — 18:19, მაგრამ იქვე სხიერელმა და ოთიურიძემ ზუსტი ტყორცნებით ექვს ქულამდე გაზარდეს. ცოტა ხანში დავითულიანის გარღვევისა და დერიუგინის სამქულიანის შემდეგ 25:26 გახდა. მაგრამ ცხვედიანი სამქულიანით პასუხობს და სხვაობა კვლავ იზრდება. აქ დერიუგინი ორქულიანს და ჯარიმას აგდებს. ეგუტიამ ფარქვეშ კარგად იბრძოლა და ტაიმის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე ანგარიში პირველად გათანაბრდა 33:33. „დინამო“ კვლავ წინაურდება, მაგრამ ახლა უკვე ერთ-ორქულიანი სხვაობით. აქ მესამე პერსონალურს იღებს ჩუბინიძე და მის ნაცვლად ბაბულაძე გამოდის. ბოლო წუთზე, როცა „დინამო“ 3 ქულას დერიუგინის, ბურთი სოლოთ სდასუ ტაიმი მოიგო 40:39.

მეორე ტაიმში აბრამიძის და დერიუგინის სიზუსტის წყალობით სდასუ სწრაფად გადის წინ — 47:41 და მდევრის როლში ახლა მუდმივად „დინამოა“. უნდა ითქვას, რომ მშვენივრად ითამაშა ლადო აბულაძემ, რომელმაც გააზრებული და შედეგიანი თამაშით მხარი აუბა სდასუს ლიდერებს. მატჩში დაძაბულობა, წუთითაც არ შენელებულა. აბულაძის სამქულიანით და დავითულიანის გარღვევებით სდასუ რვაქულიან სხვაობას აღწევს — 62:54. მაგრამ უნივერსიტეტელების ლიდერები შეუცვლელად თამამობენ და დაღლაც. ეს უფრო სიფხიზლის მოდუნებაზე ეტყობათ: ორ შედარებით უწყინარ ეპიზოდში დავითულიანი ჯარიმდება, ხუთ პერსონალურს იღებს და მოედანს ტოვებს. მაგრამ სდასუ მაინც ვაუკაცურად იბრძვის, ეგუტიას და აბრამიძის შეტევები და სხვაობა კვლავ რვა ქულაა — 67:59. „დინამოს“ მაინც სჯერა თავისი ძალისა. ცხვედიანის სამქულიანით და სწრაფი კონტრშეტევებით სხვაობა მცირდება. აქ ეგუტია თავისი თავშეუკავებლობით თანაგუნდელებს მძიმე მდგომარეობაში აყენებს. ერთი რომ, იგი ხუთი პერსონალურის გამო ტოვებს მოედანს, მეორე — ცხვედიანი ოთხ ჯარიმას ესვრის, მესამეც — ასეთ დაძაბულ სიტუაციაში ერთ-ერთი ძირითადი მოთამაშის გარეშე ტოვებს თავის გუნდს. ცხვედიანი ოთხიდან სამს აგდებს 65:67. ბოლო წუთებში რაღაც სასწაულები ხდებოდა: ორჯერ აბრამიძის ნატყორცნი ბურთი ამოვარდა კალათიდან, ფარისქვეშიდან ვერ აგდებს ოთიურიძე. 1,10 წამით ადრე აბრამიძე მაინც ათავსებს ბურს კალათში 76:71. ცხვედიანის ტყორცნა და ბეჟანიშვილის მიერ გამოყენებული საჯარიმოს შემდეგ ანგარიში 75:74-ია, ბურთს სდასუ ფლობს, მატჩის დამთავრებამდე 30 წამია. რა თქმა უნდა, პრესინგი. მაგრამ აბრამიძეს ბურთი მეტოქის მოედანზე გადააქვს, დინამოელები მასზე ჯარიმდებიან და თორმეტი წამით ადრე აბრამიძე ორიე საჯარიმოს ათავსებს კალათში 77:74. „დინამოს“ მხოლოდ სამქულიანი უშველის, ცხვედიანიც შორიდან ისვრის, ვერ აგდებს, ბურთს ფარქვეშ იღებს ბეჟანიშვილი, მაგრამ ორი ქულა გუნდს აღარ ჰყოფნის, ისიც გადის სამქულიან ზონაში და შორიდან ტყორცნის. ბურთი მიზანს სცდება. სდასუმ გაიმარჯვა — 77:74.

ამ გამარჯვებით სდასუ დაეწია „დინამოს“ და სანამ „ვითა“ გამოტოვებულ მატჩებს ითამაშებს, მასთან ერთად ჩემპიონატის ლიდერია.

დანარჩენი მატჩები: კოლხა — ასკ სტუ 77:80, კაკტუსი — მერანი 93:85, აზოტი — დინამო 2 83:78.

დღეს ორი მატჩია: მერანი — დინამო 2, კაკტუსი — შევარდენი. ერთი გამოტოვებული მატჩი — სდასუ — აზოტი ორშაბათს, 25 ნოემბერს გაიმართება, მაკაბი — შევარდენი კი მოგვიანებით. რაც შეეხება „ვითას“, მისი თამაშების განრიგი 3 დეკემბრის მერე დადგინდება.

კოტე მგალობლიშვილი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

20 ნოემბერი: იუტა ჯაზი — ლოს ანჯელეს ლეიკერზი 113:97, მაიამი ჰითი — ვანკუვერ გრიზლიზი 94:75, ჩიკაგო ბულზი — ფინიქს სანზი 113:99, ინდიანა პეისერზი — ფილადელფია-76 103:92, შარლოტ ჰორნეთსი — ნიუ იორკ ნიქსი 93:86, ლოს ანჯელეს კლიპერზი — სან ანტონიო სფურზი 93:81, სიეტლ სუპერსონიქსი — ვაშინგტონ ბულიტსი 115:110, დეტროიტ პისტონზი — ბოსტონ სელტიქსი 108:83

21 ნოემბერი: იუტა ჯაზი — გოლდენ სტეიტ ვორიორზი 109:104, დალას მავერიქსი — ლოს ანჯელეს კლიპერზი 105:94, ჰიუსტონ როკეტსი — ფინიქს სანზი 115:105, ჩიკაგო ბულზი — დენვერ ნაგეთსი 110:92, ატლანტა ჰოქსი — მილუოკი ბაქსი 73:65, ორლანდო მეჯიქი — მინესოტა ტიმბერვულვზი 90:86, შარლოტ ჰორნეთსი — ინდიანა პეისერზი 90:87, კლივლენდ კავალიერზი — ტორონტო რეპტორზი 89:81, დეტროიტ პისტონზი — ნიუ ჯერსი ნეთსი 96:88

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი

ნიუ იორკი	8	3	72,7
ორლანდო	5	2	71,4
მაიამი	7	4	63,6
ფილადელფია	4	6	40,0
ვაშინგტონი	4	6	40,0
ბოსტონი	2	7	22,2
ნიუ ჯერსი	1	6	14,3

ცენტრალური დივიზიონი

ჩიკაგო	12	0	100
დეტროიტი	10	1	90,9
კლივლენდი	8	3	72,7
მილუოკი	6	5	54,5
ატლანტა	6	6	50,0
შარლოტი	5	5	50,0
ინდიანა	3	7	30,0
ტორონტო	3	7	30,0

დასავლეთის კონფერენცია

შუა-დასავლეთის დივიზიონი

ჰიუსტონი	10	1	90,9
იუტა	7	2	77,8
მინესოტა	4	6	40,0
დენვერი	4	8	33,3
დალასი	3	7	30,0
სან ანტონიო	2	8	20,0
ვანკუვერი	1	11	0,83

წყნარი ოკეანის დივიზიონი

სიეტლი	10	2	83,3
ლეიკერზი	8	4	66,7
პორტლენდი	7	5	58,3
კლიპერზი	6	5	54,5
საკრამენტო	4	7	36,4
გოლდენ სტეიტი	3	8	27,3
ფინიქსი	0	11	0,00

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

გერმანია. ბუნდესლიგა. XV ტური

23 ნოემბერი

ზტ. პაული — ლევერკუზენი	3,4	2,7	1,7
ვერდერი — დორტმუნდი	2,2	2,5	2,5
შალკე — მიუნხენი	1,5	3,0	4,0
არმინია — ფრაიბურგი	1,5	3,0	4,0
ბაიერნი — ჰანზა	1,1	4,0	10,0
0:1	1,4	3,4	3,4
კიოლნი — ჰამბურგი	1,3	3,0	6,5

24 ნოემბერი

დუისბურგი — შტუტგარტი	4,0	3,0	1,5

გერმანია. II ბუნდესლიგა. XV ტური

23 ნოემბერი

მანჰაიმი — კაიზერსლაუტერნი	4,7	3,1	1,4
მაინცი — ურდინგენი	2,5	2,5	2,2

24 ნოემბერი

ცვიკაუ — ოლდენბურგი	1,25	3,1	7,0
ლიუბეკი — ფორტუნა	2,3	2,5	2,3
კიკერსი — ჰერტა	1,5	3,0	4,0
უნტერჰაზინგი — ლაიპციგი	1,7	2,7	3,4
მეპენი — გიუტერსლო	1,4	3,0	5,0

ინგლისი. პრემიერლიგა. XIV ტური

23 ნოემბერი

ჩელსი — ნიუკასლი	1,7	2,8	3,3
ქოვენთრი — ასტონ ვილა	2,0	2,6	2,8
ლესტერი — ევერტონი	1,7	2,9	3,2
ლივერპული — უიმბლდონი	1,2	3,4	7,0
მიდლსბრო — მანჩესტერი	2,1	2,7	2,5
ნოტინგემი — ბლეკბერნი	1,6	3,0	3,4
საუთჰემპტონი — ლიდსი	1,4	3,0	5,0
სანდერლენდი — შეფილდი	1,7	2,7	3,4
ვესტ ჰემი — დერბი	1,5	2,8	4,4

24 ნოემბერი

არსენალი — ტოტენჰემი	1,7	2,9	3,2

ინგლისი. I დივიზიონი. XX ტური

23 ნოემბერი

ბარნსლი — პორტსმუთი	1,2	3,3	8,0
ბირმინგემი — სვინდონი	1,7	2,7	3,4
ჩარლტონი — ბრედფორდი	1,25	3,1	7,0
კრისტალ პალასი — ვულვერჰემპტონი	1,5	2,8	4,4
ჰადერსფილდი — გრიმსბი	1,2	3,3	8,0
იფსვიჩი — პორტ ვეილი	1,6	2,7	4,0
სიტი — ტრანმერი	1,7	3,0	3,1
ოლდჰემი — ოქსფორდი	2,2	2,5	2,5
რედინგი — ქუინზ პარკი	2,0	2,7	2,7
შეფილდი — ბოლტონი	1,9	2,8	2,8
სტოკ სიტი — საუთენდი	1,2	3,3	8,0
ვესტ ბრომვიჩი — ნორვიჩი	2,5	2,5	2,2

შოტლანდია. XIII ტური

23 ნოემბერი

დანდი იუნაიტედი — რეით როვერსი	1,2	3,3	8,0
დანფერმლაინი — სელტიკი	6,0	3,1	1,3
ჰიბერნიანი — აბერდინი	1,7	2,8	3,3

შოტლანდია. ლიგის თასის ფინალი

24 ნოემბერი

ჰართსი — რეინჯერსი	5,6	3,0	1,35

საფრანგეთი. XIX ტური

23 ნოემბერი

პარი სენ ჟერმენი — მარსელი	1,25	3,1	7,0

24 ნოემბერი

მონაკო — ნანსი	1,15	3,6	9,0
0:1	1,5	3,4	3,0
ოსერი — ბასტია	1,4	2,8	5,6
მეცი — ნიცა	1,15	3,6	9,0
0:1	1,5	3,4	3,0
ლე ავრი — ლილი	1,7	2,8	3,3
ლიონი — ბორდო	1,8	2,6	3,2
ლანსი — სტრასბური	1,6	2,8	3,8
კანი — კაენი	1,35	3,0	5,6
გინგამი — რენი	1,6	2,7	4,0
მონპელიე — ნანტი	2,0	2,7	2,7

იტალია. სერია A X ტური

24 ნოემბერი

ბოლონია — ატალანტა	1,35	3,0	5,6
კალიარი — ნაპოლი	1,5	2,9	4,2
ფიორენტინა — პიაჩენცა	1,35	3,2	5,0
ლაციო — სამპდორია	1,6	2,7	4,0
მილანი — ინტერი	2,3	2,5	2,3
პარმა — რომა	1,8	2,6	3,2
პერუჯა — ვერონა	1,45	3,0	4,4
ვიჩენცა — რეჯანა	1,15	3,6	9,0
0:1	1,6	3,4	2,7

იტალია. სერია B. XI ტური

23 ნოემბერი

პესკარა — ლუკეზე	1,3	2,9	7,0

24 ნოემბერი

ბრეშია — პადოვა	1,5	2,8	4,4
ჩეზენა — პალერმო	1,4	3,0	5,0
კრემონეზე — კოზენცა	1,4	3,1	4,7
ემპოლი — ვენეცია	1,3	3,0	6,5
ფოგჯა — ტორინო	2,1	2,6	2,6
ჯენოა — კიევო	1,2	3,3	8,0
ლეჩე — რავენა	1,15	3,6	9,0
0:1	1,6	3,4	2,7
რეჯინა — დი სანგრო	1,45	3,0	4,4
სალერნიტანა — ბარი	1,8	2,7	3,1

ესპანეთი. XIV ტური

23 ნოემბერი

ბილბაო — ბარსელონა	3,6	2,9	1,6

24 ნოემბერი

ესტრემადურა — სპორტინგი	2,2	2,5	2,5
რეალი — ვალენსია	1,4	3,4	5,0
სელტა — სევილია	1,5	2,8	4,1
დეპორტივო — ლოგრონიესი	1,15	3,6	9,0
0:1	1,5	3,4	3,0
ერკულესი — კომპოსტელა	1,8	2,9	2,9
ბეტისი — ტენერიფე	1,8	3,0	2,8
რაიო ვალეკანო — სარაგოსა	1,8	3,0	2,8
ოვიედო — სოსიედადი	1,9	2,6	3,0
ესპანიოლი — რასინგი	1,6	2,8	3,8

25 ნოემბერი

ვალიადოლიდი — ატლეტიკო	4,2	3,6	1,35

პორტუგალია. XI ტური

23-24 ნოემბერი

ბენფიკა — ფარენსე	1,15	3,6	9,0
0:1	1,5	3,4	3,0
ბრაგა — ესპინიუ	1,45	3,0	4,4
გიმარაეში — რიუ ავე	1,2	3,3	8,0
ჟილ ვისენტე — ბოავიშტა	2,8	2,8	1,9
პორტუ — მარიტიმუ	1,1	4,0	10,0
0:1	1,4	3,4	3,4
სეტუბალი — სპორტინგი	3,8	3,1	1,5
ლეირია — ამადორა	2,1	2,6	2,6
შავეში — სალგეიროში	1,4	3,0	5,0
ბელენენსეში — ლეცა	1,5	3,0	4,0

ბელგია

23 ნოემბერი

გენკი — ლიერსი	2,0	2,7	2,7
სტანდარდი — ჰარელბეკი	1,2	3,3	8,0
მოლენბეკი — გენტი	1,5	2,8	4,4
შარლეროა — ანდერლეხტი	4,7	3,1	1,4
მეხელენი — მუსკრონი	2,5	2,5	2,2
ლოკერენი — სტ. ტრიუდენი	1,2	3,3	8,0

24 ნოემბერი

ბრიუგე — ანტვერპენი	1,2	3,3	8,0
ეკერენი — სერკლ ბრიუგე	1,15	3,6	9,0
0:1	1,4	3,4	3,4
ალსტი — ლომელი	2,5	2,5	2,2

სხვადასხვა ქვეყნის ჩემპიონატებიდან

23 ნოემბერი

ბეშიქთაში — ისტანბულსფორი	1,15	3,6	9,0
0:1	1,5	3,4	3,0
სპარტა — ტილბურგი	1,2	3,3	8,0
ზალცბურგი — რაპიდი	1,7	2,6	3,6
რიედი — ადმირა	1,6	2,7	4,0
ლინცი — გრაცერი	2,3	2,5	2,3
შტურმი — ლინცერი	1,6	2,8	3,8
აუსტრია — ტიროლი	2,1	2,6	2,6

24 ნოემბერი

ფენერბაჰჩე — სარიერსფორი	1,1	4,0	10,0
0:1	1,4	3,4	3,4
ტრაბზონსფორი — გენჩლერბირლიგი	1,1	4,0	10,0
0:1	1,4	3,4	3,4
ბურსასფორი — სამსუნსფორი	1,4	2,8	5,0
ჰერენვენი — უტრეხტი	1,35	3,0	5,6
ნაიმეგენი — ტვენტე	2,0	2,7	2,7
ვალვაიკი — სიტარდი	1,9	2,8	2,8
ვოლენდამი — ბრედა	1,7	2,6	3,6
გრონინგენი — ვიტესი	2,7	2,7	2,0
ალკმაარი — ეინდჰოვენი	6,5	3,0	1,3
ფეიენოორდი — აიაქსი	2,0	2,6	2,8
არაუ — სტ. გალენი	1,45	3,0	4,4
ლოზანა — ბაზელი	1,35	3,0	5,6
ლუგანო — სერვეტი	1,8	3,0	2,8
ქსამაქსი — გრასჰოპერი	1,6	2,8	3,8
ციურიხი — იანგ ბოიზი	1,1	5,0	10,0
0:1	1,4	3,4	3,4
ლუცერნი — სიონი	2,8	2,6	2,0

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

გერმანია (XV ტური)	25 და ნაკლები - 1,9	27 და მეტი 1,9
ინგლისი (XIV ტური)	25 და ნაკლები - 1,9	27 და მეტი 1,9
საფრანგეთი (XIX ტური)	22 და ნაკლები - 1,9	24 და მეტი 1,9
ესპანეთი (XIV ტური)	28 და ნაკლები - 1,9	30 და მეტი 1,9

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე

CROCO-2

ტირაჟი №96	ტირაჟი №97
1. ზტ. პაული — ლევერკუზენი	1. დუისბურგი — შტუტგარტი
2. ვერდერი — დორტმუნდი	2. არსენალი — ტოტენჰემი
3. შალკე — მიუნხენი	3. კალიარი — ნაპოლი
4. არმინია — ფრაიბურგი	4. ლაციო — სამპდორია
5. ჩელსი — ნიუკასლი	5. მილანი — ინტერი
6. მიდლსბრო — მანჩესტერი	6. პარმა — რომა
7. ნოტინგემი — ბლეკბერნი	7. პერუჯა — ვერონა
8. სანდერლენდი — შეფილდი	8. ვალიადოლიდი — ატლეტიკო

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია, მაქსიმალური კი — 1000 ლარი. 7 შედეგის გამოცნობისთვის მოგება ფიქსირებულია — 5 ლარი. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.

მოგების ფონდს ემატება JACK POT

კორაჩის თასი. VI ტური. 20 ნოემბერი

A ჯგუფი

სატექსი (სლოვენია) — უსკ (ჩეხეთი) 81:78, ოსიეკი (ხორვატია) — არისი (საბერძნეთი) 71:74

B ჯგუფი

ჰაპოელი (ჰოლონი, ისრაელი) — კელუში (პორტუგალია) 121:89, ბეშიქთაში (თურქეთი) — უნიკახა (ესპანეთი) 80:74

C ჯგუფი

ბეობანკა (იუგოსლავია) — სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) 85:73, სამარა (რუსეთი) — მონპელიე (საფრანგეთი) 97:75

D ჯგუფი

კასტორსი (ბელგია) — დენდი-ბასკეტი (უკრაინა) 98:92, ბამბერგი (გერმანია) — პისტოია (იტალია) 64:65

E ჯგუფი

ტელეკომპი (ხორვატია) — პეპინსტერი (ბელგია) 84:73, ტაუგრესი (ესპანეთი) — ნიკოლ ფერტი (მაკედონია) 118:73

F ჯგუფი

მეისუ (თურქეთი) — ინტერიერი (სლოვენია) 60:58, ნანსი (საფრანგეთი) — ბიპამოდა (უკრაინა) 88:75

G ჯგუფი

გისენი (გერმანია) — ზორკა ფარმა (იუგოსლავია) 77:72, პერისტერი (საბერძნეთი) — ლაჰტი (ფინეთი) 101:70

H ჯგუფი

ჰერცლია (ისრაელი) — ჩერნო მორე (ბულგარეთი) 99:77, კაჯივა (იტალია) — მაზოვეანკა (პოლონეთი) 88:96

I ჯგუფი

ბანკა დი რომა (იტალია) — თოფაში (თურქეთი) 74:66, ზალაეგერსეგი (უნგრეთი) — სპარტაკი (იუგოსლავია) 82:89

J ჯგუფი

გრანადა (ესპანეთი) — ბაიროიტი (გერმანია) 75:74, კალევი (ესტონეთი) — ალბაკომპი (უნგრეთი) 85:79

K ჯგუფი

სპორტინგი (საბერძნეთი) — ცსკ ვვს (რუსეთი) 88:64, ჰლანია ბასკეტი (შვედეთი) — ბანიკი (სლოვაკეთი) 89:60

L ჯგუფი

ლეევალუა (საფრანგეთი) — ბენეტონი (ხორვატია) 65:73, სპარტა (ჩეხეთი) — მაკაბი (რიშონი, ისრაელი) 80:84

M ჯგუფი

ასტრა (შვედეთი) — პაოკ (საბერძნეთი) 79:88, ოვარენშე (პორტუგალია) — გალათასარაი (თურქეთი) 97:73

N ჯგუფი

კომფორტი (ჰოლონეთი) — კასერესი (ესპანეთი) 89:95, ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — სპარტაკი (რუსეთი) 90:83

O ჯგუფი

ოლიმპასი (ლიტვა) — ბენეტონი (იტალია) 71:86, როგასკა დონატი (სლოვენია) — ზრინიევაცი (ხორვატია) 87:104

P ჯგუფი

ეშგეირა (პორტუგალია) — დიჟონი (საფრანგეთი) 69:82, ჰუტჰალენი (ბელგია) — ტალი (გერმანია) 81:91

კორაჩის თასის მეთექვსმეტეფინალი. 4 და 11 დეკემბერი

სატექსი (სლოვენია)	—	უნიკახა (ესპანეთი)
ბეშიქთაში (თურქეთი)	—	არისი (საბერძნეთი)
სამარა (რუსეთი)	—	პისტოია (იტალია)
კასტორსი (ბელგია)	—	ბეობანკა (იუგოსლავია)
ტელეკომპი (ხორვატია)	—	მეისუ (თურქეთი)
ნანსი (საფრანგეთი)	—	ტაუგრესი (ესპანეთი)
ზორკა ფარმა (იუგოსლავია)	—	მაზოვეანკა (პოლონეთი)
კაჯივა (იტალია)	—	პერისტერი (საბერძნეთი)
თოფაში (თურქეთი)	—	კალევი (ესტონეთი)
გრანადა (ესპანეთი)	—	ბანკა დი რომა (იტალია)
ცსკ ვვს (რუსეთი)	—	ბენსტონი (ხორვატია)
მაკაბი (ისრაელი)	—	სპორტინგი (საბერძნეთი)
ოვარენშე (პორტუგალია)	—	კასერესი (ესპაეთი)
ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)	—	პაოკ (საბერძნეთი)
ზრინიევაცი (ხორვატია)	—	ტალი (გერმანია)
დიჟონი (საფრანგეთი)	—	ბენეტონი (იტალია)

ევროლიგა. VIII ტური. 21 ნოემბერი

A ჯგუფი

ულქერი (თურქეთი) — ცსკა (რუსეთი) 73:76, სტეფანელი (იტალია) — მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) 85:88, ლიმოჟი (საფრანგეთი) — პანიონიოსი (საბერძნეთი) 78:75

B ჯგუფი

ალბა (გერმანია) — ციბონა (ხორვატია) 79:71, ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — შარლეროა (ბელგია) 87:60, ტიმისტემი (იტალია) — ესტუდიანტესი (ესპანეთი) 100:86

C ჯგუფი

კროაცია (ხორვატია) — ბაიერი (გერმანია) 86:79, ბარსელონა (ესპანეთი) — ოლიმპია (სლოვენია) 70:71, ვილერბანი (საფრანგეთი) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 74:80

D ჯგუფი

დინამო (რუსეთი) — ეფეს პილსენი (თურქეთი) 73:82, ელან ბერნე (საფრანგეთი) — პარტიზანი (იუგოსლავია) 73:77, კახა სან ფერნანდო (ესპანეთი) — კინდერი (იტალია) 72:64

ევროპის თასი. VIII ტური. 20 ნოემბერი

C ჯგუფი

ჰაპოელ გალილ ელიონი (ისრაელი) — ბენფიკა (პორტუგალია) 92:85

H ჯგუფი

კიორმენდი (უნგრეთი) — ბუდუწნოსტი (იუგოსლავია) 103:101

უმაღლესი დონის შესვედრები... ბავშვებთან

უწვეულოდ მზიანი ამინდები აჩუქა ნოემბერმა ბათუმს, სადაც 13-17 ნოემბერს სხვადასხვა ასაკის მოზარდთა საერთაშორისო საჩოგბურთო ტურნირი ჩატარდა. ბათუმის კორტებს ეწვივნენ თბილისელი, მოსკოველი და ერევნელი ნორჩი ჩოგბურთელები.

ტურნირის სახელზე მოვიდა უამრავი მოსალოცი ბარათი, მათ შორის ალექსანდრე მეტრეველის, შამილ ტარპიშევის, ნინო ლუარსაბიშვილის. პატარები ძალიან გაახარა ბათუმში ლეილა მესხის ჩამოსვლამ. ტურნირის ორგანიზატორებმა ყველაფერი იღონეს საიმისოდ, რათა ბავშვთა ეს ტურნირი მაქსიმალურად მეახლოვებინათ პროფესიონალ ჩოგბურთელთა ტურნირისთვის, რისთვისაც მშვენიერ პრიზებთან ერთად გამარჯვებულებმა ფულადი ჯილდოებიც მიიღეს.

— ესოდენ მაღალ დონეზე ორგანიზებულ ბავშვთა ტურნირში ჯერ არ გვითამაშია — განაცხადა მოსკოველთა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა. რას ნიშნავს ეს შეფასება, იმითაც მიხვდები, როდესაც გაეცნობი მოსკოველი ბავშვების სატურნირო კალენდარს: არგენტინა, ავსტრალია, ესპანეთი, საფრანგეთი, ინგლისი, აშშ და სხვა.

— თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბათუმის კორტების სახით საქართველოში აკაქეს საუკეთესო საჩოგბურთო ცენტრი და თუ ჩვენ ვითანამშრომლებთ, საქართველოში ჩოგბურთის დიდი ვარსკვლავები გაიზრდებიან — თქვა ლეილა მესხმა.

— ვფიქრობ, ამ შეჯიბრების მაღალ, მართლაც საერთაშორისო დონეზე ჩატარებას თავი გავართვით — ეს აჭარის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ლევან ჟღენტის სიტყვებია.

...მხოლოდ ბავშვებს შესწევთ უნარი, დამეგობრდნენ ესოდენ მალე. ბათუმელმა, თბილისელმა, მოსკოველმა და ერევნელმა ჩოგბურთელებმა მისამართები გაცვალეს, თავისუფალ დროს კი ცეკვისა და სიმღერისათვის იცლიდნენ. მოკლედ ტურნირი მათთვის სასიამოვნო მოგონებად დარჩება.

სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში გაიმარჯვეს: მოსკოველებმა — მარია კოროლენკომ, ეკატერინე აფინოგენოვამ, ალექსეი ნიკოლაევმა; თბილისელებმა — სანდრო კოლაძემ, თიკა ყავლაშვილმა და ოთარ ენუქიძემ; ბათუმელებმა — ირაკლი ოენეიშვილმა და დიმიტრი იმედაძემ.

ტურნირის დედოფლად ბათუმელი ანა ლიპარტია გამოცხადდა, „სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირის" პრიზი — გამარჯვებისკენ სწრაფვისთვის — ბათუმელმა ელიდა დანელიამ მიიღო.

ტურნირის გახსნისა და დახურვის ცერემონიალს აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე დაესწრო. შეჯიბრების ორგანიზატორებმა ღია ზღვაში, თეთრ გემზე ბავშვებს ბანკეტიც მოუწყვეს, ბოლოს კი ყველამ სამახსოვრო სურათებიც გადაიღო. ასე დასრულდა ბათუმის პირველი საერთაშორისო ტურნირი, რომლის შემდეგაც თბილისის გუნდი საფრანგეთის ღია პირველობაში მიიღებს მონაწილეობას, ნოემბრის ბოლოს ესპანეთში გაემგზავრება, ბათუმელები კი ვენაში არიან მიწვეულები. ასე რომ, ქართველმა ბავშვებმა უცხოური ტურნირების წინ მშვენიერი რეპეტიცია ჩატარეს.

ელა კუციავა
ჩოგბურთის კლუბ „ბათუმის" პრეს-მდივანი

ფირმების რეგისტრაცია

აუდიტი

ყველაზე იაფად და სწრაფად (1 დღეში)
(შ.პ.ს., ინდივიდუალური საწარმო, ს.ს.)

რუსთაველის 19.
ტელ.: 93-52-34, 99-09-84;
73-89-39 (18 საათიდან)

"ალეტი TV"

სატელიტური ტელევიზია „ალეტი TV" ანყობს საშობაო ტურნირს

მინი-ფეხბურთში.

ეს კომერციული ტურნირი ჩატარდება სპორტის სასახლეში, დაიწყება 15 დეკემბერს და გასტანს 1 კვირას.

საპრიზო ფონდი — 3 000 ლარი.

მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ კლუბს, როგორც პროფესიულს, ისე მოყვარულსაც. განცხადებების შემოტანის ვადა — 1 დეკემბრამდე. დაწვრილებითი ცნობებისთვის მოგვმართეთ რუსთაველის 46.

☎ 93-47-33; 94-14-22 98-87-15; 98-28-77

სატელიტური ტელევიზია „ალეტი TV" ერთადერთი ტელევიზია, რომელიც ანყობს ESPN-ის ტრანსლაციას თბილისსა და მის შემოგარენში. სპორტის მოყვარულებს საშუალება ეძლევათ მიიღონ ინფორმაცია სპორტის შესახებ 24 საათის განმავლობაში.

☎ 98-28-77; 98-87-15

გოგი ახალედიანის

სვეტი

სულ ცხოვრებისეული ამბები დროზე

მოდით, ჭრელად ვილაპარაკოთ, მითუმეტეს, რომ გვარიანი ამბები ხდებოდა ამ კვირაში და თითო-ოროლა სიტყვა ყველაფერს გადაგუგდოთ.

დროზე წასვლა — აი, რა არის მეტად ლამაზი. ხალხით გაძეძგილ შედისონ კვერ გარდენში, დიდი საჩოგბურთო ტურნირისას, კორტებს გამოეთხოვა არასაჩოგბურთო გარეგნობის ჩოგბურთელი გაბრიელა საბატინი. გაბრიელა 26 წლისაა და ერთ დრეს ათეულის შუდმივი წევრი იყო. ტყუილად ჩოგნის ცემას მან წასვლა არჩია და ცრემლიანი ღიმილით გამოგვეშვიდობა. ასეა — მისი თამაში აღარ იყო თამაში და მხოლოდ ზღარული თვალების და მაღალი ფეხების გამო ეს გოგო არ დარჩებოდა. როდემდე უნდა გვეყურებინა და გვეძახა, აუ, რა მაგარი ქალია და როგორ გაფუჭდა?

ადგა და წავიდა.

დროზე გავარდნა — ზოგჯერ, თურმე ესეც სასარგებლოა. თუ სამშაბათს, ნაშუაღამევს, რომელიმე „დინამოელმა" რაიუნოს არხს უმზირა, ამაში ნამდვილად დარწმუნდებოდა. დედა, რა დღეში ჩავარდა ჩვენი კარგი „ბოავეშტა"?! ბიჭები ნამდვილად გამხიარულდებოდნენ, რა იხილავდნენ, რომ თუ შენ მოუგებ ვინმეს, შეიძლება შენც გაგანადგურონ. ჩვენებს რომ „ბოავეშტასთან" არ წაეგოთ, ასე ხომ ვერ ვიმხიარულებდით სან-ხიროზე მომხდარი ამბის ხილვისას. ისე, იმ ოხერმა ჯიმიმ ერთი მაინც შეაგდო. არამყარ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას რომ კერძო ქართულ საფეხბურთო თვისებად ვნათლავთ, სულ ტყუილი ყოფილა. ოპორტოელ მეკარეს სახეზე „ინტერის" მასისურების ფერი ედო და რა ბურთიც კი კარისკენ გაგორეს, ყველა გაუშვა.

ამიტომ, ერთი დარდიან-სევდიანი მხიარულება ჩვენც შეგვხვდა.

დროზე ალაგმვა — ეს მთლად საჭირო რამ არის. „სპორტრეზონანსის" საკრივო მწვრალმა ალბერტ ხაჩატურიშვილმა ცხოვრებაში ერთადერთხელ მომიგო ნიძლავი და ისიც ევანდერ ჰოლიფილდის წაალობით, მომიგო ერთი ბოთლი ლუდი და ჩემს გაღადავებაში აიკაო გაზეთის გვერდი. მომიგო ბოთლი ღა დავალევინე შვიდი კათხა. კარგი ბიჭია, ოღონდ ტრაბახი უყვარს, ალბათ, ამიტომაც დაწერა, მეზვეტეს „გროლშის" ლუდხანა მოვუგეო.

ახლა ღიად ვუცხადებ, რომ ვენიძლავები — თუ ოღრაშმა დონ კინგმა ინება დიდი ჩხუბები, მაიკ ტაისონი წელიწადნახევარში გახდება სამი დიდი ვერსიის ჩემპიონი.

ტრაბახი და დაცინვა დროზე უნდა აილაგმოს, თორემ ხაჩატურიშვილი ჩემი კეთილი გულის წყალობით დავპატიჟე „გროლშში", რათა ჰოლიფილდის გამარჯვებით გაზარებულისათვის შეამებინა, მან კი ეს მოგებულ ნიძლავად ჩათვალა და გაზეთში გამოწერა. თურმე ერთი ქილა „ასტიკა" ან ბოთლი „ხლავური" უნდა მეყიდა მისთვის და ალაგმვაც საჭირო არ იქნებოდა.

დროზე დაბრუნება — ესეც მეტად საინტერესო რამ არის, რადგან გახულ კვირაში კიდევ ერთხელ ვნახე მაიკლ ჯორდანის თამაში. და საერთოდაც, ასეთი ხალხი ალბათ იმიტომ მიდის სპორტიდან, რათა შემდეგ უფრო ხმაურიანად დაბრუნდნენ.

როგორც ჩანს, იგივეს აპირებს ერთ დროს დიადი მოკრივე შუგარ ლეონარდი. თუმცა, მოკრივეთა დაბრუნება ცოტა სხვა რამ არის ხოლმე. და აქ დიდ რაღაცეებს იშვიათად უნდა ველოდეთ.

მოკლედ, დროზე ყველაფერი კარგია, წასვლაც, მოსვლაც, გადადგომაც, გადმოდგომაც და ხადილ-ვახშამიც.

ოღონდ ეგ არის, რომ ჩვენ ველარა ვართ ჩვენს დროზე. ბედი ჩვენი, რომ საფეხბურთო ხეზონი მთავრდება, თორემ გაზაფხულამდე თბილისელი გულშემატკივრები ველარ გაატანდნენ — ღამისთევა მოუღებდათ ბოლოს.

ვარაჩის დროზე დგომით ქვევანა კი იგებს, მაგრამ ფეხბურთის გულშემატკივარი ილევა და დნება.

ამ ზამთარს ასეა, თუკი საერთაშორისო ფეხბურთის ყურება გინდა, ღამე ძილი არ გიწერია, დილის ხუთ საათამდე ტელევიზორთან გიწევს ჯდომა. და მეორე დღეს კარგად ნაქეიფარი კაცივით ხარ.

დროზე, დროზე...

ეგებ როგორმე გავიგოთ, რომ ყველაფერი დროზეა კარგი.

ახე ვთქვათ, დროული

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ფორმულა 1

ახალი წესები

1994 წლიდან ფია-მ (საერთაშორისო საავტომობილო ფედერაცია) რამდენიმე სერიოზული ნაბიჯი გადადგა ფორმულა-1-ის რბოლების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და გუნდების შანსების გასათანაბრებლად, რასაც უფრო საინტერესო უნდა გაეხადა ასპარეზობა. პილოტები მართლაც შედარებით უსაფრთხოდ გრძნობენ თავს მონოპოსტებში, რაც წლევანდელ სეზონში მომხდარი რამოდენიმე სერიოზული ავარიის შედეგებმაც დაადასტურა. ზოგიერთმა ტექნიკურმა ცვლილებამაც გააიფა ფორმულა-1-ის ბოლიდების მომზადება და ექსპლუატაცია სეზონის განმავლობაში, მაგრამ პირველობისთვის ბრძოლა კვლავ ერთი-ორი გუნდის წვრთა შორის მიმდინარეობდა.

წელს ფია-მ გადაწყვიტა კვლავ მიუბრუნდეს ამ საკითხს და პირველობისთვის ბრძოლა უფრო დაძაბული და გუნდების ფინანსური მდგომარეობა უფრო სტაბილური გახადოს. სწორედ ამ მიზნით ამ ორგანომ გასულ ზაფხულს ჩემპიონატის მონაწილეთ წარუდგინა „თანხმობის ხელშეკრულების“ სახელით ცნობილი კონვენცია. მსგავსი ხელშეკრულება პირველად 80-იანი წლების დასაწყისში დაიდო და 15 წლის განმავლობაში ფორმულა-1 მისი კანონებით ცხოვრობდა. ახალი ხელშეკრულება კი ფორმულას ცხოვრების წესს 2001 წლამდე განსაზღვრავს. გუნდები ერთნაირი ენთუზიაზმით არ შეხვედრიან კონვენციას: უმრავლესობამ — ხელი მოაწერა შეთანხმებას, ტირელმა და მაკლარენმა თავიდანვე უარი განცხადეს, ხოლო უილიამსი ჯერ შეუერთდა ხელშეკრულებას, რამოდენიმე დღეში კი უარი თქვა.

ქვემოთ გთავაზობთ ამ ხელშეკრულების რამდენიმე ძირითად პუნქტს, რომლებიც განსხვავებულია ადრე არსებული წესებისგან, აგრეთვე მოსაზრებებს ამ პუნქტების შესახებ.

1. გუნდები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, ვალდებულებას იღებენ მონაწილეობა მიიღონ 1997-2001 წლის ჩემპიონატებში.

წინათ გუნდები ვალდებულნი იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ ერთი სეზონის ყველა რბოლაში. ამ პუნქტით ფია-ს გარანტირებული ექნება ამ პერიოდის განმავლობაში ჩემპიონატების ჩატარება და ამასთან თავს იზღვევს ალტერნატიული პირველობის გაჩენისგან.

2. გუნდები გარანტიას იძლევიან, რომ ყოველ ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს მინიმუმ ოცი ავტომობილი.

ამჟამად თანხმობას რვა გუნდმა მოაწერა ხელი. ეს კი 16 ავტომობილია. თუ მათ მავუმატებთ სამი „განდეგილის“ ექვს ბოლიდს, მაშინ ეს პუნქტი აღვილად შესრულდება, მაგრამ თუ ეს უკანასკნელნი უარს იტყვიან ასპარეზობაზე, მაშინ ფედერაცია შეიძლება საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს. სწორედ ამიტომ მოსალოდნელია, რომ გუნდებს სამ-სამი ბოლიდის გამოყვანის უფლება მიეცეთ, თუმცა ჯერჯერობით ცნობილი არ არის მომავალი დებიუტანტის — სტიუარტის გადაწყვეტილება ან ფორმულა-1-ში მონაწილეობის შესაძლო მსურველთა საკითხიც.

3. გუნდები ვალდებულებას იღებენ არ შეცვალონ შასის სახელწოდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

4. გუნდები ვალდებულნი არიან, ფია-ს თანხმობის გარეშე მონაწილეობა არ მიიღონ ღია თვლებიანი ავტომობილების შეჯიბრებებში, ფორმულა-1-ის გარდა.

5. ნებისმიერი ტექნიკური და სპორტული ცვლილებები მიიღება 80-პროცენტიანი უმრავლესობით კონვენციაზე ხელისმომწერი გუნდების მიერ.

ამგვარად, „განდეგილებს“ — მაკლარენს, უილიამსს და ტირელს მოწინააღმდეგეთა მიერ დადგენილი წესებით მოუწევთ „თამაში“.

6. ჩემპიონატის ეტაპების რაოდენობა იზრდება 16-დან 17-მდე.

ჩემპიონატის ეტაპების რიცხვის გაზრდა ზრდის ფედერაციის შემოსავალს, თანაც, როგორც ჩანს გაფართოება იმ ქვეყნების ხარჯზე მოხდება, სადაც თამბაქოს რეკლამა აკრძალული არ გახლავთ.

7. პარასკევის თავისუფალი ვარჯიში გაუქმებულია. თავისუფალი ვარჯიშები ჩატარდება შაბათობით დილის 8.45 — 9.45 და 10.00 — 11.00-მდე. საკვალიფიკაციო ასპარეზობა კი — იმავე დღეს 13.00 — 14.00-მდე. თავისუფალ ვარჯიშზე აუცილებელი გასავლელი წრეების რაოდენობა გაუქმებულია.

სწორედ ამ პუნქტის წინააღმდეგია ფრენკ უილიამსი, რომლის აზრითაც ვარჯიშის დროის შეზღუდვა შეიძლება ასპარეზობის უსაფრთხოებაზე იმოქმედოს. მაგრამ შესაძლოა, უილიამსი იმაზეც ფიქრობს, რომ ამ გადაწყვეტილებამ შეიძლება გაზარდოს კვალიფიკაციის შემთხვევითი შედეგებით დასრულების ალბათობა, რამაც შესაძლოა რბოლის შედეგებზეც იმოქმედოს. მაგრამ კონვენციის ავტორები იქითკენ ისწრაფვიან, რომ მეტი ინტრიგა შესძინონ ასპარეზობას. რბოლისა და კვალიფიკაციის მოულოდნელი შედეგებით დასრულება კი ხელს უწყობს ამას.

8. ყოველ ეტაპზე (თავისუფალი ვარჯიში, კვალიფიკაცია და რბოლა) ნებადართულია საბურავების მხოლოდ შვიდი კომპლექტის გამოყენება, საწვიმარის გარდა.

ეს პუნქტიც საკამათო გახდა, გუნდები უნდა გაუფრთხილდნენ საბურავებს, ვარჯიშისა და კვალიფიკაციის დროს ტრასაზე ყოფნის დროც შეზღუდონ, რათა რბოლაზე ახალი საბურავების გარეშე არ დარჩნენ. ეს კი რბოლისათვის ბოლიდების სრულყოფილად დარეგულირებაზე იმოქმედებს.

9. ეტაპის წინა კვირაში აკრძალულია ნებისმიერი სახის ვარჯიში ნებისმიერ ადგილზე და ტესტების ჩატარება სეზონის ბოლო რბოლიდან 1 დეკემბრამდე.

ახალი წესები ვინლუვს რას დააკლებს!

ეს პუნქტი საგრძნობლად ამცირებს გუნდების ხარჯებს სეზონის განმავლობაში და ერთგვარად ათანაბრებს მდიდართა და ღარიბთა შანსებს, ერთნაირად ამცირებს ბოლიდების მომზადების დროს. თუმც მდიდარ საჯინიბოებს მაინც მცირე უპირატესობა ექნებათ, ფინანსური სიძლიერის გამო ნებადართულ პერიოდში მათ უფრო მეტ ხანს შეუძლიათ ტესტების ჩატარება.

10. ფია-ს ფორმულა-1-ის კომისიაში, წინა სეზონის შედეგების მიხედვით, ხუთი ადგილი დაეთმობათ იმ გუნდების წარმომადგენელებს, ვინც ხელი მოაწერა კონვენციას. კიდევ ერთ ადგილს მიიღებს ის გუნდი, ვისაც ყველაზე მეტ ჩემპიონატში აქვს მიღებული მონაწილეობა.

ამით ფრენკ უილიამსი, რონ დენისი და კენ ტირელი, ფაქტიურად ჩამოშორდებიან ფორმულა-1-ის მმართველობას, თუ არ შეუერთდნენ ხელშეკრულებას.

11. შემოსავალი ტელეტრანსლაციებიდან და ეტაპზე მონაწილეთათვის დადგენილი საპრიზო თანხა შემდეგნაირად განაწილდება: 50-პროცენტს მიიღებენ ხელის მომწერი გუნდები, 50-ს კი — ყველა, როგორც ხელის მომწერნი, ასევე „განდეგილნიც“. ამ უკანასკნელი თანხის ნახევარი განაწილდება წინა ჩემპიონატების შედეგების მიხედვით, ხოლო მეორე ნახევარი — წინა სეზონის „გუნდური ჩათვლის“ საბოლოო შედეგების მიხედვით.

ამგვარად, კონვენციის მონაწილე გუნდები ორჯერ მეტ თანხას მიიღებენ, ვიდრე გარეშე მდგომნი, ვინც უარი თქვა ხელშეკრულებაზე, ეს კი საკმაოდ შეცვლის გუნდების ფინანსურ მდგომარეობას.

ფორტი და მინარდი, რომლებიც თითქმის მუდმივ ფინანსურ სიძნელეებს განიცდიან, მიესალმებიან ფია-ს ყოველ ახალ გადაწყვეტილებას, რომელიც მათ ცხოვრებას შეუმსუბუქებს. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულმა შემოსავლის განაწილებამ მათ 2001 წლამდე არსებობის შანსი მისცა.

მეორე ეშელონის გუნდებიც კმაყოფილნი უნდა იყვნენ ახალი წესებით, რადგან საშუალება ეძლევათ შემოიღონ ისეთი ცვლილებები, რომლებიც ლიდერებს ხელს არ აძლევთ.

უფრო რთულია „დიდი ოთხეულის“ იმ წარმომადგენელთა ნაბიჯის ახსნა, რომლებმაც ხელი მოაწერეს მათთვის აშკარა არახელსაყრელ ხელშეკრულებას. თუმცა ფლავიო ბრიატორე, ბენეტონის შეფი, ლიჟიეს მფლობელიცაა და მისი მოქმედება ამით შეიძლება აიხსნას. რაც შეეხება ფერარის, იგი, როგორც ჩანს თავს არიდებს კონფლიქტს და შუმახერის მეშვეობით ნებისმიერი წესების პირობებში იმედოვნებს გამარჯვებას.

განდეგილებს ყველაზე გამოდიელი ხელმძღვანელები ჰყავთ, რომლებსაც განცდილი აქვთ პილოტების დაკარგვა და შესაძლოა სწორედ ამიტომაც ზრუნავენ ქულებთან ერთად პილოტთა უსაფრთხოებაზეც და ეწინააღმდეგებიან კონვენციის ზოგიერთ პუნქტს, თუმცა ტირელისთვის ხელშეკრულება აშკარა ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო. უილიამსი და დენისი ამასთან ერთად ალბათ თავს აარიდებენ „სხვისი წესებით“ ასპარეზობას და ეცდებიან ფია დათმობაზე წაიყვანონ.

ასეა თუ ისე, ხელშეკრულება დაიდო და 2001 წლამდეა ძალაში. პრესაში გამოჩნდა ცნობები, რომ ფიას პრეზიდენტმა მაქს მორლიმ ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ფედერაციამ განიხილა „განდეგილთა“ ზოგიერთი მოთხოვნა და შეიძლება ზოგიერთ დათმობაზეც წავიდეს, კერძოდ, მოსალოდნელია, რომ პარასკევის ვარჯიში არ გაუქმდეს, ჯერჯერობით მხოლოდ მომავალ სეზონში.

ალეკო ჭაბუკიანი

ჩიეგბურგი

გავარჯა, დაკარგვა

ჰანოვერში, ვაჟთა მსოფლიო პირველობაზე 1 ათასი ბუტრბროდი გასელ და გაბედა გერმანელმა ბოთს ბალერ (6), რომელმაც ხუთშაბათ საღამოს ორ საათსა და 9 წუთში ბოლო თვეში ეს უკვე მეორედ დაამარცხა ამერიკელი პიტ სამპრასი (1) 7:6 (12-10), 7:6 (7-4). ბორისმა ამ დღეს 24 ეისი გაახერხა. ამით ბეკერი — სამპრასის მაჩტების ბალანსი 9-7 გახდა ამერიკელის სასარგებლოდ.

ეს მატჩი წითელ ქვეჯგუფში გაიმართა. სამპრასმა წინადღით სულ რაღაც 51 წუთში 6:2, 6:1 დაანგრია ძველი დოსტი, მეტოქე და თანამემამულე ანდრე აგასი (7), რომელიც კორტიდან სტვენით გააცილეს. აგასიმაც გუდა-ნაბადი აიკრა და შინისკენ გაუტია, აქაო და ფაღარათიანი გრიპი მჭირსო. გარდა ამისა, ანდრე 100 ათასი დოლარითაც დაჯარიმდა, რადგანაც პრეზენტაცია და წილისყრა გააცდინა.

ბეკერმა ძლია სამპრასი

აგასი შეცვალა სათადარიგომ — შვედმა თომას ენკვისტმა (9), რომელიც რუს ევგენი კაფელნიკოვთან (3) 3:6, 6:7 (5-7) დამარცხდა.

თეთრი ქვეჯგუფიდან ნახევარფინალში უკვე გავიდა ხორვატი გორან ივანშევიჩი (4), ვინაც ოთხშაბათს თუმც ეისებია, 21-21 დაუზავდა ჰოლანდიელ რიხარდ კრაიჩეკს (8), მაგრამ საათსა და 58 წუთში 6:4, 6:7 (4-7), 7:6 (6-1) მაინც სძლია. აქვე თომას მუსტერმა (ავსტრია, 5) ოთხშაბათს მეორე მარცხი აგემა მაიქლ ჩანგს (აშშ, 2) 6:4, 6:3, ხუთშაბათს კი ჩინელმა ამერიკელმა შური გორანზე იძია 6:7 (8-10), 7:6 (7-5), 6:1, მაგრამ ამ მოგებამ ვერაფერში არგო.

ᲒᲐᲚᲘᲜᲐ მსგავს შეჯიბრზე, ნიუ-იორკში რომ მიმდინარეობს, ოთხშაბათს პირველი რიგ დასრულდა: კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 4) — იუდით ვაიერი (ავსტრია, 16) 6:1, 3:6, 6:4; არანჩა სანჩესვიკარიო (ესპანეთი, 3) — ბრენდა შულც-მაკგფი (ჰოლანდია, 11) 6:4, 7:6 (7-4); იანა ნოვოტნა (ჩეხეთი, 5) — ამანდა კეტცერი (სამხრეთი აფრიკა, 15) 6:4, 6:1. ხუთშაბათს მეოთხედფინალში დიდი ბრძოლა გადახდა შარშანდელ ჩემპიონ შტეფი გრაფს (1), ვინაც მეორე ხელში ხუთი სეთ-პოინტი იხსნა, თავად კი მეოთხე მატჩ-პოინტზეა მოუგო ნორჩ გიგანტ ლინდზი დავენპორტს (აშშ, 8) 6:4, 7:6 (13-11). ლინდზი მეორე ხელს ერთი პირობა 5:2 იგებდა. ამავე საღამოს ივა მაიოლიმ (ხორვატია, 9), ვისაც ნეკნი აქვს ამოვარდნილი, 7:6 (8-6), 7:6 (7-4) დაამარცხა მარტინესი, ვისაც წინადღით ბარძაყი დაეჭიმა. ერთი სიტყვით, ტურნირის მასაჟისტ ქეთლინ სტროიას მოსვენება არა აქვს.

NHL

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲚᲘᲒᲐᲨᲘ

20 ნოემბერი. ჰარტფორდი — მონრეალი 3:1, ფლორიდა — ლოს-ანჯელესი 4:1, კოლორადო — ფინიქსი 6:0, კალგარი — დალასი 1:3, ანაჰაიმი — აილნდერზი 2:2.

ოთხშაბათს ოთხივე დივიზიონის ლიდერმა მოიგო. ყველაზე სერიოზული მეტოქე დალასს ჰყავდა შინ მოთამაშე კალგარის სახით. თამაშის ბედი 52-ე წუთზე დალასელმა გილკრისტმა გადაწყვიტა — მან მასპინძელთა შეცდომით ისარგებლა, მერე თავისი მეორე შაიბაც შეაგდო (სულ — 5 შაიბა) და გამარჯვების წერტილიც დასვა. დალასმა ბოლო მატჩებში ორი ახალი მოთამაშე შეიმატა. რუსული ჰოკეის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირს, ოლიმპიადისა და მსოფლიო ჩემპიონატების მრავალგზის გამარჯვებულს — რუსი მაკაროვის სახელი ყველასათვის ცნობილია. ნჰლ-ში ექვსწლიანი მოღვაწეობის შემდეგ (134 შაიბა და 250 პასი) მაკაროვმა შარშანდელი სეზონი გამოტოვა და სენსაციური დაბრუნების შემდეგ დროდადრო თუ გამოჩნდებოდა მოედანზე. ალბათ ამ მიზეზის გამოა, ჯერ ფორმაში რომ არ არის. მეორე დებიუტანტმა — ჩეხმა გოლკიპერმა ტურეკმა პირველი მატჩი ჩაატარა და წარმატებითაც — 25 დარტყმა მოიგერია.

წლევანდელი სეზონის კიდევ ერთმა მოულოდნელმა ლიდერმა — ჰარტფორდმა ზედიზედ მეოთხედ მოიგო. ბოლო წამებზე ფინელმა კაპანენმა ცარიელ კარში შეაგდო და ყველაფერს ნთელი მოჰფინა. აღნიშვნის ღირსია კოფის მორიგი ორი ქულა (1+1,2).

ფლორიდას საუკეთესო ბომბარდირმა — შელანმ (1+1, 9 შაიბა) პირველი ორი საგოლე კომბინაცია წამოიწყო. დაწინაურებულმა „პანთერებმა“ ანგარიში კიდევ გაზარდეს და იოლად გაიმარჯვეს. ფლორიდელმა ევროპელმა ახლაც გამოიჩინეს თავი ასისტენტების როლში, ვანბისბრუკი კი კვლავ ინარჩუნებს ლიგის ყველაზე საიმედო მეკარის პოზიციას (შოგერიების 93, 7 პროცენტი).

კოლორადოს შესანიშნავი სამეული — საკიკი, ფორსბერგი და ოზოლინში ამჟამად თანხმობას რვა გუნდმა მოაწერა ხელი. ეს კი 16 ავტომობილია. თუ მათ მავუმატებთ სამი „განდეგილის“ ექვს ბოლიდს, მაშინ ეს პუნქტი აღვილად შესრულდება, მაგრამ თუ ეს უკანასკნელნი უარს იტყვიან ასპარეზობაზე, მაშინ ფედერაცია შეიძლება საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს. სწორედ ამიტომ მოსალოდნელია, რომ გუნდებს სამ-სამი ბოლიდის გამოყვანის უფლება მიეცეთ, თუმცა ჯერჯერობით ცნობილი არ არის მომავალი დებიუტანტის — სტიუარტის გადაწყვეტილება ან ფორმულა-1-ში მონაწილეობის შესაძლო მსურველთა საკითხიც.

3. გუნდები ვალდებულებას იღებენ არ შეცვალონ შასის სახელწოდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

4. გუნდები ვალდებულნი არიან, ფია-ს თანხმობის გარეშე მონაწილეობა არ მიიღონ ღია თვლებიანი ავტომობილების შეჯიბრებებში, ფორმულა-1-ის გარდა.

5. ნებისმიერი ტექნიკური და სპორტული ცვლილებები მიიღება 80-პროცენტიანი უმრავლესობით კონვენციაზე ხელისმომწერი გუნდების მიერ.

ამგვარად, „განდეგილებს“ — მაკლარენს, უილიამსს და ტირელს მოწინააღმდეგეთა მიერ დადგენილი წესებით მოუწევთ „თამაში“.

6. ჩემპიონატის ეტაპების რაოდენობა იზრდება 16-დან 17-მდე.

ჩემპიონატის ეტაპების რიცხვის გაზრდა ზრდის ფედერაციის შემოსავალს, თანაც, როგორც ჩანს გაფართოება იმ ქვეყნების ხარჯზე მოხდება, სადაც თამბაქოს რეკლამა აკრძალული არ გახლავთ.

7. პარასკევის თავისუფალი ვარჯიში გაუქმებულია. თავისუფალი ვარჯიშები ჩატარდება შაბათობით დილის 8.45 — 9.45 და 10.00 — 11.00-მდე. საკვალიფიკაციო ასპარეზობა კი — იმავე დღეს 13.00 — 14.00-მდე. თავისუფალ ვარჯიშზე აუცილებელი გასავლელი წრეების რაოდენობა გაუქმებულია.

სწორედ ამ პუნქტის წინააღმდეგია ფრენკ უილიამსი, რომლის აზრითაც ვარჯიშის დროის შეზღუდვა შეიძლება ასპარეზობის უსაფრთხოებაზე იმოქმედოს. მაგრამ შესაძლოა, უილიამსი იმაზეც ფიქრობს, რომ ამ გადაწყვეტილებამ შეიძლება გაზარდოს კვალიფიკაციის შემთხვევითი შედეგებით დასრულების ალბათობა, რამაც შესაძლოა რბოლის შედეგებზეც იმოქმედოს. მაგრამ კონვენციის ავტორები იქითკენ ისწრაფვიან, რომ მეტი ინტრიგა შესძინონ ასპარეზობას. რბოლისა და კვალიფიკაციის მოულოდნელი შედეგებით დასრულება კი ხელს უწყობს ამას.

8. ყოველ ეტაპზე (თავისუფალი ვარჯიში, კვალიფიკაცია და რბოლა) ნებადართულია საბურავების მხოლოდ შვიდი კომპლექტის გამოყენება, საწვიმარის გარდა.

გადატრიალება პიტსბურგში



რადაც ლიდერის დამაჯერებელი გამარჯვების სულისჩამდგმელი იყო. საკიკმა ანგარიში გახსნა (სულ — 10 შაიბა), ფორსბერგმა ორი გადაცემა გააკეთა, ოზოლინში კი ორი გოლით (სულ — 8) მცველთა შორის საუკეთესო სნაიპერი გახდა. თუმცა, სხვებმაც იხეირეს, მეტადრე — ახალგაზრდა კლეშის (2 შაიბა, სულ — 4) სამეულმა. განაწყენებელმა ფინიქსმა 4 უპასუხო შაიბის შემდეგ უხეშობა და მეტოქის ლიდერებთან ანგარიშსწორება დაიწყო და, რაც ყველაზე გასაკვირია, ამაში ლიდერები — გარტნერი და ტკაჩუკიც მონაწილეობდნენ.

ანაჰაიმში დიდი გაცვლა-გამოცვლის შემდეგ პირველი ქულები დაგროვეს მასპინძელმა მირონოვმა, რომლის პასის შემდეგ სელიანემ მე-12 შაიბა შეაგდო, და ნიუ-იორკელმა სმოლინსკიმ. მან ზუსტი დარტყმით ანგარიში გაათანაბრა.

21 ნოემბერი. ბოსტონი — მონრეალი 2:6, ბუფალო — ტორონტო 6:3, ფილადელფია — პიტსბურგი 7:3, სენტ-ლუისი — ფინიქსი 4:3, ედმონტონი — რეინჯერზი 3:2, ვანკუვერი — ჩიკაგო 2:1, სან-ხოსე — დეტროიტი 1:6.

როდესაც მონრეალის პირველ სავაჟი — კოივუ — რექის სამეულს თამაში მისდის, კანადელების შეჩერება შეუძლებელია. ბოსტონთან ამ სამმა 8 (4+4) ქულა დაგროვა, რექი (ჰეთ-თრიქთი, 11) სეზონში საუკეთესო მატჩი ჩაატარა. კოივუ 29 (10+19) ქულით ბომბარდირთა დავაში მეოთხეა. ტორონტოელი სუნდინი 30 (13+17) ქულით მესამეზე დამკვიდრდა. მისი თავდადების წყალობით (3 პასი) ტორონტო ბოლო პერიოდამდე ინარჩუნებდა მატჩის გადარჩენის შანსს, მაგრამ ბუფალომ „აგრესორების“ თავკაცობით დაჯაბნა მეტოქე და ორი ღღის წინანდელი წაგებისათვის რევანში აიღო.

პიტსბურგში განცდილმა წარუმატებლობამ ვერ იმოქმედა სენტ-ლუისზე. ფინიქსთან „ბლუზმენებმა“ ბოლო წამებზე გაათანაბრეს ანგარიში — დებიუტანტმა იორკმა ჰალს (სულ 10 შაიბა) მიაწოდა. ოვერტაიმის პირველ წუთზე კი მათ როლები შეცვალეს და უკვე იორკმა (8) გაახარა მასპინძლები. გასაკვირია ფინიქსის უხეირო თამაში. კლუბი, რომელსაც სამი ძალიან კლასის ცენტრი — რენიკი, ჯენი და რონინგი ჰყავს, ბოლო 7 თამაშში 5-ჯერ დამარცხდა და ბოლო ადგილზეა დივიზიონში.

როგორც ჩანს, რეინჯერზი მოგებას გადაეჩვია. ედმონტონთან თანაბარ ბრძოლაში კლუბმა, უკვე მეექვსედ, მინიმალური ანგარიშით წააგო. შეიძლება, ამის მიზეზი ყოფილი კლუბის მიმართ რომანტიულად განწყობილი გრეცკი და მესიე (1+0,9) იყვნენ — ედმონტონში მათ საუკეთესო წლები გაატარეს და ერთად ოთხჯერ მოიგეს სტენლის თასი. ედმონტონის მთავარმა მეპასემ — უეიტმა ზედიზედ მესამე თამაშში გაიტანა გოლი, ხოლო პასების განაწილება რუსმა ბორის მირონოვმა (1+7 4 მატჩში) იდო თავს.

ორი წლის წინანდელი ფიასკოს შემდეგ მატჩი არ ყოფილა, დეტროიტს სანზოსე არ გაენადგურებინოს. გამონაკლისი არც ბოლო შეხვედრა იყო. ტრავმამოშუშებულმა ექს-„ზვიგენმა“ ლარიონოვმა (1 გოლი) თანამემამულე ფიოდოროვს (1 გოლი) ხასიათი გამოუკეთა. თუმცა, რუსთა დეტროიტული ხუთეული კვლავ აიზერმანის (1+2, 7) და შენაჰამის (0+3) ბრწყინვალე თამაშმა დარჩენილა. წამყვანმა მცველმა ლიდსტრომმა ამას ორი შაიბა დაუმატა.

მცველმა ჯოზეფმა ოვერტაიმის მე-4 წუთზე მეტად საჭირო ორი ქულა მოუტანა ვანკუვერს. მანამდე რუსმა ბურემ (8) ჩიკაგოს ლიდერის — ამონტეს (13) შაიბა გაქვითა.

მას შემდეგ, რაც პიტსბურგის კაპიტანმა ლემიემ განაცხადა, გუნდს გადახალისება სჭირდებაო, „პინგვინთა“ მენეჯერები საქმეს შეუდგნენ და ორ ღღეში 3 (!) გაცვლა მოახდინეს. ჯერ სმოლინსკი გაცვალეს აილენდერზე, კასპარაიტისსა და ა. იუპანსონზე, შემდეგ ფლორიდელები — ბარნსი და ვეული მიიწვიეს უელსის ნაცვლად, ბოლოს, შვედი ოლაუსონი და ჰიქსი გადმოიყვანეს ანაჰაიმიდან, იქ კი რუსი დ. მირონოვი და „პოლიციელი“ ანტოსკი გაუშვეს.

სამველ ღარიბიანი

„ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲨᲘ“
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ᲖᲣᲠᲐᲑ ᲛᲔᲛᲨᲔᲚᲘᲐ

რედაქტორი
ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲑᲠᲘᲐᲣᲚᲘ

სარედაქციო კოლეგია:
ᲘᲚᲘᲐ ᲑᲐᲑᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲑᲖᲘᲙᲐᲫᲔ
ᲖᲐᲐᲚ ᲒᲘᲑᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲠᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ

კომერციული დირექტორი
ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲛᲠᲝᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ

გამომცემელი
ᲖᲣᲠᲐᲑ ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐ

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29